CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

~~1 ლარი~~

70 თეთრი

N31 (2961) 28 თებერვალი. 3 მარტი 2014 წ

PRESS ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ეტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

მარგველაშვილს სააკაშვილის ყირუსი შეეყარა...

რაში დახარჯა პრეზიდენტის პაარსამსახურმა წვ ათასი ლარი?!

ვინ და რატომ წამოიწყო ჩხუბი მერაბიშვილს პროცესის დროს?

რით დაუხმარა პროკურატურა კეზერაშვილს განთავისუფლებაში

„ამ პროცესში რუსეთი არ ჩაერევა“

ინტერვიუ რუს ექსპერტთან

რატომ ხდება მართვის მოწმობები ვადიანი და რა იცვლება მძღოლებისთვის?

ქართველების „ოცნება“ ასრულდა

რატომ შეარჩინა ფრანგულმა სასამართლომ კეზერაშვილს ყველაფერი?

აწი, ბოდიშიც გვქონია მოსახდელი, მართალი ყოფილა...

„ქართულმა ოცნებამ“ ვებგვერდზე წინასაარჩევნო დაპირებები წაშალა?

მამა გაბრიელის წმინდა ნეშტი სამებაში კიდევ რამდენიმე კვირა იქნება დასვენებული

აღნიშნული გადაწყვეტილება საპატრიარქომ მრევლის სიმრავლის გამო მიიღო.

„ვითვალისწინებთ რა ხალხის უდიდეს სურვილს მამა გაბრიელის ნეშტთან მიახლებისა და კიდევ იმ მდგომარეობას, რომ მრევლი რამდენიმე საათის რიგში დგომის შემდეგაც ვერ ახერხებს ეკლესიაში შესვლას, საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება, ღირსი მამა გაბრიელ სალოსი (ურგებაძე) კიდევ რამდენიმე კვირით დატოვოს დასვენებული სამების საკათედრო ტაძარში, რათა ხალხს თავისუფლად მისვლის შესაძლებლობა ჰქონდეს“, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ მამა გაბრიელის წმინდა ნეტში სამების საკათედრო ტაძარში 24 თებერვალს სამთავროს დედათა მონასტრიდან გადმოასვენეს.

(პირველ)

საქართველოში 1-ლი მარტიდან დათბება

საქართველოში 1-ლი მარტიდან დათბება. გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილის, ნინო წვერავას განცხადებით, 27 თებერვალს, ღამით წვიმდა საქართველოს უმეტეს რაიონებში, მაღალმთაში კი თოვდა. გუდაურში თოვლის საფარმა 60 სანტიმეტრი შეადგინა.

საქართველოს უმეტეს რაიონებში წვიმა და მაღალმთაში თოვლი 28 თებერვალს ღამითაც არის მოსალოდნელი, დღისით ქვეყნის უმეტეს რაიონებში გამოიდარებს.

1-ლი მარტიდან საქართველოში დათბება. დასავლეთ საქართველოში 2 მარტიდან ჰაერის ტემპერატურა 20-22 გრადუსი იქნება. აღმოსავლეთ საქართველოში კი შედარებით დაბალი ტემპერატურა 10-15 გრადუსია მოსალოდნელი. მზიანი ამინდები საქართველოში 5 მარტამდე შენარჩუნდება. (ინტერპრეტაციული)

ფასი 70 თ. ალია... ალია... ალია...

იანუკოვიჩმა მოსკოვთან 52-მილიონიანი სახლი შეიძინა

რუსული მედიის ცნობით, უკრაინის ექსპრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა რუსეთში, ელიტარულ დასახლებაში რუბლიოვო-უსპენსკის გზატკეცილზე ძვირადღირებული კერძო სახლი შეიძინა.

„იანუკოვიჩი ახლა მოსკოვის მახლობლად ცხოვრობს. შეგვიძლია მივულოცოთ ჩვენს უკრაინელ დეპნილ ძმებს გუშინ, ბარვიხას დასახლებაში 52 მილიონ დოლარად ღირებული სახლის შეძენა. დიდება რუბლიოვკას!“, – განაცხადა რუსეთის სოციალ-დემოკრატებისა და მწვანეთა ალიანსის თავმჯდომარე ოლეგ მიტკოლმა.

აღსანიშნავია, რომ ბარვიხა არის ყველაზე ძვირადღირებული დასახლება მოსკოვის ოლქში, ხოლო სახლი, რომელიც იანუკოვიჩმა შეიძინა, მთელი წლის განმავლობაში იყო გასაყიდად გამოტანილი და ვერ იყიდებოდა. „სახლის გამყიდველი მაიდანს უნდა უმადლოდეს“, – წერს მიტკოლი. (ინტერპრესნიუსი)

მარგველაშვილი სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარესა და პრემიერს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში გრძელდება. გიორგი მარგველაშვილი და ქართული დელეგაციის წევრები სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ტიგრან სარქისიანს ოფიციალურ სადილზე შეხვდნენ. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

ქართული დელეგაცია პრეზიდენტის მეთაურობით დღის ბოლოს სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ოვიკ აბრამიანს შეხვდა, შეხვედრის შემდეგ კი პრეზიდენტმა სამახსოვრო წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და სომხეთის საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს, საუბარი შეეხო საპარლამენტო მეგობარი ჯგუფების ურთიერთობების ინტენსიფიკაციას.

საქართველოს პრეზიდენტი 28 თებერვალს უმაღლეს პატრიარქს, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსს გარეგინ მეორეს შეხვდება. (ინტერპრესნიუსი)

ვინ და რატომ წამოიწყო ჩხუბი მერაბიშვილს პროცესის დროს?

თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობასთან ვანო მერაბიშვილის მხარდამჭერებს „სირცხვილის კორიდორი“ მოუწყვეს. „ახალგაზრდული ცენტრის“ ორგანიზებით გამართულ აქციაზე მონაწილეები 26 მაისის ამსახველი ფოტოსურათებით მივიდნენ და მერაბიშვილის მხარდამჭერებს სასამართლოს შენობაში სტვენით აცილებდნენ.

„ცოცხები რომ არ გაგიკეთეს, იმიტომ იქცევით ეგრე. თავი უნდა გაგვეხეთქა თქვენთვის“, – ასე გამოეხმაურა „სირცხვილის კორიდორის“ ინიციატორებს სასამართლოში ვანო მერაბიშვილის მხარდასაჭერად მისული ქალბატონი. ბაჩო ახალაიას ადვოკატმა გოგა ონიანმა კი

— მოსახლეობა არ შემოგიერთდათ?

– როგორ არა, აქ მოვიდა ის ხალხი, ვისაც პროტესტი ჰქონდა და ფიქრობდა, რომ მერაბიშვილი აუცილებლად უნდა დასჯილიყო. ჩვენ გვქონდა მოთხოვნა მოსამართლესთან, რომ დაეცვა კანონის უზენაესობა და შესაბამისად, დაესაჯა ვანო მერაბიშვილი. აქ მთავარი იყო ის, რომ პრეცედენტი დაფიქსირდა, ვანო მერაბიშვილი დასაჯა და 26 მაისის გამო მას მიესაჯა ექვს წელ-ნახევარი.

— ჩხუბი რის გამო დაიწყო, რა მოხდა სასამართლოს შენობასთან?

– ახლავე აგიხსნით: კიბის მარჯვნივ და მარცხნივ ორ რიგად ვიდექით აქტივისტები

აქციის ორგანიზატორები უკრაინელ „ტიტუშკებს“ შეადარა.

„ტატუშკების“ რა მოგახსენოთ, მაგრამ მარტო ამ სიტყვების გამო შესაძლო იყო სასამართლოზე მისული ორი ძალა ერთმანეთს დაპირისპირებოდა, ერთ მხარეს, მერაბიშვილის „მომღერალი ოფოფები“ და მეორე მხარეს აქციაზე მისული ხალხი.

ხელჩართული ჩხუბი სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ გაიმართა პროცესიდან გამოსულ მერაბიშვილის მომხრეებსა და „ახალგაზრდული ცენტრის“ აქტივისტებს შორის.

„ალიას“ ესაუბრება „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი, ზურაბ ძაღაბიძე:

– 26 თებერვალს, „ობიექტივის“ ღამის ეთერში ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ვაპირებდით მისვლას მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე და მოვუწოდეთ მოსახლეობას, ისინიც ყოფილიყვნენ ჩვენთან ერთად. მართლაც, დაახლოებით 500 ადამიანი შევიკრიბეთ, აქ ვიყავით „ახალგაზრდული ცენტრის“ წევრებიც და სტუდენტი აქტივისტებიც.

და მხოლოდ და მხოლოდ მე ვსაუბრობდი, ისიც ძალიან კორექტულად. აქტივისტები რომ ხედავდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, ტაშს უკრავდნენ და ამას დავარქვით „სირცხვილის აპლოდისმენტები“. რაც მათ ჩვენს საზოგადოებას დამართეს 9 წლის მანძილზე, იმას გამოვხატავდით. ისინი მოვიდნენ სულ ღიმილ-ღიმილით, მუქარანარევი ხუმრობებით ჩაგვიარეს, რაღაცების ჩალაპარაკებებით, ამ დროს აგრესიული არც ჩვენ ვიყავით და არც ისინი. მაგრამ როგორც კი მერაბიშვილს მიუსაჯეს და ანია ჩვენი დაკავებული და 3 „ზონელები“. ახლა გზაში ვარ, უნდა გავარკვიო (საღამოს 8 საათი და 10 წუთი), არ ვიცი, გამოუშვეს, არ გამოუშვეს, ცოტა კოორდინაცია დაგვერღვა და ახლა ქუჩიდან გელაპარაკებით. თავად სიტუაციამ პანიკა გამოიწვია ადგილზე, კარგად ვერ ვხედავდით, ისეთი ამბავი იყო.

— იქითა მხრიდან ვინ აქტიურობდა?

– „თავისუფალი ზონის“ აქტივისტები. იქ იყვნენ გიგა ნასარიძე, გიორგი კანდელაკი, შოთა უტიაშვილი, არ ჩხუბობდნენ „ნაცები“, მაგრამ საკმაოდ აგრესიულები იყვნენ. განაჩენი წაიკითხეს, ესენი იქიდან გამოვიდნენ გამწარებულები და რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია. უკვე გინებით წამოვიდნენ. წარმოიდგინეთ, აქციაზე ბავშვებს ეჭირათ პლაკატები, მისცვიდნენ და ჩამოუხიეს ეს პლაკატები, დაგვიწყეს ფურთხება და აირია სიტუაცია. ატყდა ჩხუბი, მაგრამ მერე ყველანაირად ვეცადეთ და აქეთ დაშოშმინდა სიტუაცია, მაგრამ ამ ტალღამ გადაინაცვლა სასამართლოს გვერდითა ქუჩაზე, სასამართლოს მეორე კართან, სადაც უკვე ვერ ვხედავდი, რა ხდებოდა. როცა მივედი, იქ უკვე პოლიცია იყო მობილიზებული და მთელი ჩვენი აქტივი გამოვარიდეთ ამ ჩხუბს. მე მერე მითხრეს, რომ 4 ადამიანა ჩვენი დაკავებული და 3 „ზონელები“. ახლა გზაში ვარ, უნდა გავარკვიო (საღამოს 8 საათი და 10 წუთი), არ ვიცი, გამოუშვეს, არ გამოუშვეს, ცოტა კოორდინაცია დაგვერღვა და ახლა ქუჩიდან გელაპარაკებით. თავად სიტუაციამ პანიკა გამოიწვია ადგილზე, კარგად ვერ ვხედავდით, ისეთი ამბავი იყო.

— იქითა მხრიდან ვინ აქტიურობდა?

– „თავისუფალი ზონის“ აქტივისტები. იქ იყვნენ გიგა ნასარიძე, გიორგი კანდელაკი, შოთა უტიაშვილი, არ ჩხუბობდნენ „ნაცები“, მაგრამ საკმაოდ აგრესიულები იყვნენ. გამაბსენდა, ირაკლი ფირცხალავა იყო. უტიაშვილი იყო, რომელიც თითს მიქნევდა და კიდევ მე მემუქრებოდა უტიფრად.

— უტიაშვილი აქეთ იქნევდა თითს?

– რომ გამოიარა უტიაშვილმა, ვთქვი, ხალხო, ტაში დავუკრათ, უტიაშვილი 26 მაისის ერთ-ერთი შემოქმედი იყო, მერაბიშვილთან ერთად-მეთქი, იმან თითს თან გინებასავით მოაყოლა. ეს გინება იყო პროვოკაცია, რასაც არ ავყევით. ჩვენ ამაზე რეაგირება არ გვქონდა. ისაა სასაცილო, რომ კიდევ თითს გვიქნევენ. ჩვენთან ერთად იდგნენ მოხუცებიც, თავად 26 მაისის მონაწილეებიც. მახსოვს, თაკო სალაყაიას ერთი, სავარაუდოდ, მეგობარი გოგო, რომელიც, როგორც კი გამოვიდა, პირდაპირ ჩვენ მოგვვარდა და პლაკატი ჩამოგვიხია, მაგრამ ეგ არაფერი, მერე იქით მხარეს გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, მაგრამ იქ უკვე პატრულმა ძალიან იყოჩაღა, მადლობაც ვუთხარი ამის გამო. სიმართლეს ვიტყვი, საერთოდ, „ნაცების“ ლიდერებს ხელი არ გაუქნევიათ, მაგრამ მათთან გვერდით ვინც იყვნენ, ახალგაზრდები, მათ ჰქონდათ საშინელი აგრესია. გინება რომ წავიდა, პოლიციამ იმარჯვა, სასწაული ჩაიდინა და თქვენ წარმოიდგინეთ 400-500 კაცი დააკავა. უკანა მხრიდან მთლიანად იყო ის ქუჩა გადაკეტილი და სულ თითოთითოდ მოხდა სიტუაციის განმუხტვა.

P.S. ყოფილი პოლიციელი და „თავისუფალი ზონის“ აქტივისტი ირაკლი ჩხვირკია გაათავისუფლეს. ჩხვირკიას გამოძიება 173-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, რაც პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს. გვინ ღამისთვის დანარჩენი დაკავებულები შსს-ში იყვნენ.

»» თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

იარაღი

თბილისში, ბოლო ოთხ კვირაში, ოთხ ადამიანს ესროლეს. ორ ადამიანს ესროლეს ბოლო ერთ კვირაში

რით დაეხმარა პროკურატურა კეზერაშვილს განთავისუფლებაში

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი თავისუფალია.

რატომ აღმოჩნდა საქართველოს პროკურატურა უძლური, დაერწმუნებინა ფრანგი მოსამართლე, რომ კეზერაშვილის სახელს უმძიმესი დანაშაულები უკავშირდება?

„ალია“ ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში წერდა, რომ კეზერაშვილის საქმეში პროკურატურა ჩაფლავდებოდა, რადგან მოუმზადებელი და არაკვალიფიციური იყო ამ საქმისთვის ქართული მხარე: „პროკურატურას არ ეყოფა კვალიფიკაცია, რომ დაარწმუნოს ფრანგი მოსამართლე კეზერაშვილის დანაშაულში. ამის გარდა პროკურატურას დღეს ფაქტობრივად ისევ ადეიშვილის კადრები მართავენ და როგორ გგონიათ, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ კეზერაშვილს ბრალი დაუმტკიცდეს?“ – უყვებოდა „ალიას“ წყარო.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. ამის შემდეგ, მთავარმა პროკურატურამ საფრანგეთში მიავლინა პროკურორი ირაკლი დონდოლაძე, რომელიც ადეიშვილის ხელის ბიჭი იყო პროკურატურაში. მან სასამართლოს ისეთი „მტკიცებულებები“ ჩაუტანა, კინაღამ თავზე გადაახია ფრანგმა პროკურორმა, რომელმაც პირდაპირ უთხრა, დონდოლაძე ვაი შენს პატრონს, თუ ამით აპირებ საქმის მოგებასო. დონდოლაძის კრახის შემდეგ, უფლებადამცველმა დიმა ლორთქიფანიძემ „ალიას“ განუცხადა, რომ საქართველოს პროკურატურაში მომზადებული მასალები საფრანგეთში გაყალბებული სახით ჩავიდა, ანუ ფრანგული თარგმანი ქართულ დედანს არ შეესაბამებოდა და ამის სავარაუდო ავტორად საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ადეიშვილისდროინდელ კადრს, ჩილინგარაშვილს მიიჩნევდა.

„ალიაში“ არაერთი სტატია გამოქვეყნდა, როგორ მართავენ პროკურატურას ადეიშვილის კადრები, თუმცა დავით კეზერაშვილის საქმის გამამართლებელმა განაჩენმა დაადასტურა, რომ პროკურატურის ახალი ხელმძღვანელობაც ეთანხმება მის განთავისუფლებას, რადგან ქართულმა მხარემ უარი თქვა განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე. რომ გაესაჩივრებინათ განაჩენი, რაც საქმის ზემდგომ ინსტანციაში გადატანას ნიშნავს, არ არის გამორიცხული, გადაწყვეტილება შეცვლილიყო.

„ალიას“ წყაროს თქმით, ის, რომ პროკურატურამ უარი განაცხადა გასაჩივრებაზე, სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს, რომელზე პასუხსაც, საზოგადოება, სავარაუდოდ, ვერ მიიღებს: „როცა უარს ამბობ საკასაციო წესით გასაჩივრებაზე, გამოდის ეთანხმები გადაწყვეტილებას. რა უნდოდა იმის გაკეთებას, რომ თუნდაც საფრანგეთის რომელიმე სხვა სასამართლოში მოეთხოვათ გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება? ლოგიკურად ასეა, რომ როცა აღარ აპირებ, ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრო მოსამართლის გადაწყვეტილება, ეთანხმები განაჩენს. საქართველოს პროკურატურამ რა მიზეზით არ გააკეთა ეს, დეტალები ნამდვილად არ ვიცი. ბოლო ეტაპზე უკვე ყველგან იჩინა თავი პროკურატურის არაკვალიფიციურობამ. დარწმუნებული ვარ, მეტი კვალიფიკაცია რომ ჰქონოდათ იმ პირებს, ვინც კეზერაშვილის საქმეზე მუშაობდა, აუცილებლად დაკმაყოფილდებოდა ქართული მხარის მოთხოვნა, დარწმუნებული ვარ ასი პროცენტით, იმიტომ, რომ პირის დანაშაულზე არსებობს უამრავი არგუმენტირებული და დადასტურებული ფაქტი, ისეთი მტკიცებულებები, რომელსაც ვერავინ აუვლის გვერდს“.

— ხომ არ გაგირკვევიათ ფრანგი პროკურორი აპირებს დადგენილი კომუნიკაციის

გადაწყვეტილების გასაჩივრებას?

– ჩვენ ექსტრადიციაზე უარი არ გვითქვამს, ჩვენი მოთხოვნა ისევ ძალაშია. ფრანგ პროკურორთან ასე არ ხდება, ავიღებ ტელეფონს და დავრეკავ, ეს ხდება ოფიციალური გზებით, რაც არის ფორმები. ჯერ ველოდებით ოფიციალურ პასუხს ჩვენს მოთხოვნაზე, რაც გვქონდა დაყენებული. ჯერ ეს ეტაპია გასავლელი, რომ საფრანგეთის მხარემ ოფიციალურად გვითხრას ამ მოტივებით და ამის გამო მივიღეთ ეს გადაწყვეტილებაო. მას შემდეგ, რაც გვეცნობება, ეს გადაწყვეტილება არის თუ არა საბოლოო, ამის შემდგომ გადაწყდება, რა იქნება.

— იურისტების დიდი ნაწილი სწორედ მთავარ პროკურატურას სდებს ბრალს კეზერაშვილის გამართლებაში, ამბობენ, რომ არაკვალიფიციური იყავით და ვერ წარადგინეთ სათანადო მტკიცებულებები.

– ვინც რას ფიქრობს, ისე იფიქროს. მე ვიმოქმედე ჩემი კომპეტენციის ფარგლებში. საფრანგეთის მხარეს წარვუდგინე ის დოკუმენტაცია, რაც არის აუცილებელი ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით.

— უფლებადამცველი დიმა ლორთქიფანიძის განცხადებით, პროკურატურიდან გაგზავნილი ფრანგული თარგმანი აქართულ დედანს არ შეესაბამებოდა. ამის შესახებ რას გვეტყვით?

– რას გულისხმობთ? ჩვენ გავაგზავნეთ ის დოკუმენტაცია, რაც საჭირო იყო და რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, სწორედ იმ სახით მიუვიდა განმხილველ სასამართლოს დოკუმენტები. სხვას ვერაფერს გეტყვით.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

„ალია“ კომენტარისთვის მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, თემურ დოლიძეს დაუკავშირდა:

– ეს მიმდინარეობს სრულიად დამოუკიდებლად საქართველოს მთავარი პროკურატურისგან. ჩვენ, რაც აუცილებელი იყო ექსტრადიციის საკითხის დროს, დროულად მივაწოდეთ ფრანგულ მხარეს. აქ საუბარი არ არის, პიროვნება დამნაშავეა თუ არა, აქ მთავარია ფრანგულმა სასამართლომ განიხილოს პირის ექსტრადიცია. ჩვენ არ ვყოფილვართ მხარე, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება გავასაჩიროთ ან რამე ზემოქმედება მოვახდინოთ პროცესზე. ეს უნდა გააკეთოს ფრანგმა პროკურორმა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

მერაბიშვილის განაჩენს გაასაჩიჟრებენ

მერაბიშვილის ადვოკატის, გიორგი ჩივიაშვილის განცხადებით, 26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი, რომლის მიხედვითაც მას 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, გასაჩივრდება. როგორც მან აღნიშნა, განაჩენი უკანონოა და გამოიკვეთა, რომ მოსამართლემ ვერ გაუძღო ზენოლას.

„ვანო მერაბიშვილი პატივისა და ღირსების შელახვის ნაწილში გამართლდა და გამტყუნდა უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში. ჩვენ გავასაჩივრებთ და მოვიგლით ყველა ინსტანციას საჩივრით და თუკი ვერ დადგება სასურველი შედეგი, ჩვენ აღნიშნულს სტრასბურგის სასამართლოში გავასაჩივრებთ“, – განაცხადა ჩივიაშვილმა.

პროკურატურის განცხადებით კი, ასეთი განაჩენი მოსალოდნელი იყო. როგორც საქმის პროკურორმა ნათია მეზვრიშვილმა გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ განაცხადა, გადაწყვეტილება არის იმ ასობით ქართველის გადაწყვეტილება, ვინც საკუთარ თავზე იწვნია 26 მაისს მომხდარი ძალადობა.

ვანო მერაბიშვილი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე „გ“ ქვეპუნქტში სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. აღნიშნული ნაწილი ითვალისწინებს პატივისა და ღირსების შელახვას. დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში, რომელიც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას და აღნიშნულ ნაწილზე მას 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

პროკურორის თქმით კი, გამოტანილი განაჩენი ეკუთვნის იმ ხალხს, ვინც 26 მაისს პოლიციის მიერ გამოყენებული ძალადობა საკუთარ თავზე იწვნია.

„სასამართლოს გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ველოდებოდით იქიდან გამომდინარე, რომ 5 თვის მანძილზე სასამართლოში წარვადგინეთ მრავალი მტკიცებულება, რომელიც ივანე მერაბიშვილის ბრალეულობას ადასტურებდა. ვფიქრობ, რომ დღევანდელი განაჩენი ეკუთვნის იმ ასობით საქართველოს რიგით მოქალაქეს, რომლებმაც 26 მაისს პოლიციის მიერ გამოყენებული ძალადობა საკუთარ თავზე იწვნია. სასამართლოს გადაწყვეტილება იყო ადეკვატური, მან ივანე მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო უფლებამოსილების გადამეტებაში“, – განაცხადა მეზვრიშვილმა (ინტერფაქსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ნანუაშვილი კაზრეთის საბადოს ადმინისტრაციულ შენობაში არ შეუშვეს

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი კაზრეთის საბადოს გაფიცულ თანამშრომლებს შეხვდა. როგორც ნანუაშვილმა განაცხადა, „სიტუაცია საგანგაშოა და შესაძლოა, უმართავი გახდეს, ამიტომ მთავრობა ვალდებულია, პროცესში ჩაერთოს და მხარეებს შორის ვითარების დარეგულირებაში მონაწილეობა მიიღოს“.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, კაზრეთის საბადოს თანამშრომლები პროტესტის ნიშნად 14 თებერვლიდან გაფიცულები არიან. დაბა კაზრეთში შეწყვეტილია სწავლაც. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ დაბალი ანაზღაურების, საფრთხის შემცველი სამუშაო პირობების, უვარგისი სამედიცინო დაზღვევის, არაპიგიენური გარემოსა და სხვა უამრავ მიზეზთა გამო. გაფიცულები ასევე, განთავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში აღდგენას ითხოვენ. სახალხო დამცველი მიიწვევს, რომ გაფიცულებს კომპანიების **RMG Gold**-ის და **RMG Copper**-ის წინაშე სავსებით ლეგიტიმური მოთხოვნები აქვთ.

სახალხო დამცველთან პირად საუბარში საბადოს თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან ხშირად ყოფილან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლნი. სახალხო დამცველი შეეცადა, შეხვედროდა კომპანიების წარმომადგენლებს, თუმცა ის ადმინისტრაციის შენობაში არ შეუშვეს. (ინტერფაქსი)

სწორად ფიქრობს ომბუდსმენი

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საფრანგეთის სასამართლოს მიერ დავით კეზერაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით აცხადებს: „არ გამოვრიცხავ, რომ პროკურატურის მხრიდან გარკვეული მასალები კარგად არ იყო მომზადებული, რაც საბოლოო ჯამში დამთავრდა იმით, რომ ქართული მხარის არგუმენტები არ იქნა სასამართლოზე გათვალისწინებული. ეს კი სწორედ იმის გამო მოხდა, რომ სათანადოდ არ იყო მომზადებული და გამყარებული ის არგუმენტები, რომელიც ქართველ სამართალდამცველებს გააჩნდათ და არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ შესაბამისად ფრანგ სამართალდამცავებს გამოეტანათ გადაწყვეტილება“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა. (ინტერფაქსი)

რისთვის ჩავიდნენ აშშ-ში ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი?

ჟურნალისტი ირმა ინაშვილი და „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი დავით თარხან-მოურავი აშშ-ში იმყოფებიან. ჯერ იყო და შალვა ნათელაშვილმა ჩაასწრო ერთი დღით ღარიბაშვილს, ახლა პრემიერის ვიზიტის დასრულებამდე „პატრიოტთა ალიანსიც“ ჩადის შტატებში.

რისთვის ჩავიდნენ შტატებში და რაღა მაინცდამაინც პრემიერის ვიზიტის დროს?

ამის გასარკვევად „ალია“ ირმა ინაშვილს დაუკავშირდა:

— ირმა, ბრიუსელსა და სტრასბურგში სააკაშვილის რეჟიმის მამხილებელი მასალები ჩაგქონდათ. აშშ-ში რა საქმეზე ხართ?

– ვაშინგტონში შევხვდით გავლენიან სენატორებს, უფლებადამცველი ორგანიზაციის „ფრიდომ ჰაუსის“ პრეზიდენტ დევიდ კრამერს. სენატორებს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობაზე ვესაუბრე და რამდენიმე ეპიზოდი გავაცანი. მათ შორის, „ობიექტივისთვის“ წართმეული არხის საკითხზე.

— ღარიბაშვილის ვიზიტს დაემთხვა თქვენი ჩასვლა. ასე იყო დაგეგმილი თუ შემთხვევითობაა?

– ვამზადებდით ვიზიტს და ამ დროს მოგვინია ჩამოსვლა. ჩვენ ვაშინგტონში ჩამოვედით 25 თებერვალს გვიან საღამოს. 26 თებერვალს შეხვედრების პირველი დღე გვქონდა სენატსა და კონგრესში. ირაკლი ღარიბაშვილი და ჩვენ ერთსა და იმავე შენობაში ვიყავით 26-ში, მაგრამ არ შევხვედრივართ.

— ვაშინგტონშიც ჩაიტანეთ რამე მასალები?

– რაც შეეხება მასალებს, დეტალებს ჯერ ვიტყვი, მაგრამ საუბარი შეეხო ახალი ხელისუფლების საქმიანობას, სამართლიანობის აღდგენას. ძველი ხელისუფლების დანაშაულებს, სააკაშვილსაც, პირადად. ცხადია, ეს არ იყო ზეპირი საუბარი. ვისაუბრეთ საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზეც.

ყანა ასანიძე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

რატომ არ ჩამოვიდა 27 თებერვალს ემზარ კვიციანი თბილისში?

როგორც უკვე იცით, ძებნილი ემზარ კვიციანი 27 თებერვალს მოსკოვიდან თბილისში უნდა ჩამოფრენილიყო, მაგრამ როგორც მისი და, ნორა კვიციანი ამბობს, მისი საბუთები წესრიგში არ აღმოჩნდა და აეროპორტში არ გამოატარეს, კერძოდ, მას არ ჰქონდა „სამშობლოში დაბრუნების“ დოკუმენტი. როგორც „ალიას“ რუსეთში მცხოვრები ზაზა გაბედავა ატყობინებს, ვინაიდან მოსკოვში საქართველოს საელჩო არ არსებობს, ამ დოკუმენტს გასცემს შვეიცარიის საელჩო. დოკუმენტი უკვე მზადაა და გაბედავას თქმით, ემზარ კვიციანი თბილისში 28 თებერვალს ჩამოვა. ის უარყოფს გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს, კვიციანმა საქართველოს პროკურატურას კბილი მოუსინჯა და როგორც კი გამოცხადდა, ჩამოსვლისთანავე დავაპატიმრებთო, თავი შეიკავა. პრინციპში, არც ეს არის გამორიცხული, მაგრამ, როგორც გაბედავა ამბობს, თუ კვიციანი საქართველოში არ დაბრუნდება, ის დეპორტირებულია და რუსი სამართალდამცავები მაინც დააპატიმრებენ.

გელა ზედელაშვილი

ნარმანია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს შეხვდა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, დავით ნარმანია ზუგდიდის გამგეობის შენობაში სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორსა და მუნიციპალიტეტების გამგეობის წარმომადგენლებს შეხვდა.

ნარმანიამ ადგილობრივებთან განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, ძირითადი მიმართულება იქნება გზების მშენებლობა, ასევე წყალმომარაგების კეთილმოწყობის სამუშაოები.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის რამდენიმე ათეული მილიონი იქნება გამოყენებული. (ინტერპრესნიუსი)

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“, მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სამი ახალი პროექტი აამოქმედა

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“, თბილისელი აბონენტებისთვის სამი ახალი პროექტი – კვარტალური დარიცხვის პროგრამა, ვებპორტალი **mygwp.ge** და მოკლე ტექსტური შეტყობინების პროგრამა აამოქმედა. სამი ახალი პროექტის პრეზენტაცია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სათავო ოფისში კომპანიის ბილინგის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი სულაბერიძემ და პიარისა და მარკეტინგის ჯგუფის უფროსმა თიკო მაკარიძემ გამართეს.

კვარტალური დარიცხვის პროგრამა გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის გადასახადის დარიცხვის ახალ ფორმას გულისხმობს. კომპანიის ბილინგის დეპარტამენტის უფროსის გიორგი სულაბერიძის თქმით, კვარტალური დარიცხვა განკუთვნილია იმ მოსახლეობისთვის, რომელთანაც კომპანიამ უკვე დაამნტაჟა აღრიცხვის კვანძები. ამიერიდან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ თანამშრომელი, მრიცხველის ჩვენების ასაღებად, აბონენტთან კვარტალში, ანუ სამ თვეში ერთხელ მივა, ხოლო მომდევნო ორ თვის მანძილზე აბონენტს თანხა მოხმარების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით დაერიცხება.

კვარტალური დარიცხვის პროგრამა კომპანიამ ერთი თვეა, რაც აამოქმედა და ამ სისტემით უკვე 43 000 გამრიცხველიანებული აბონენტი სარგებლობს.

კვარტალური დარიცხვის პროგრამის პარალელურად, კომპანიამ გაითვალისწინა პროგრამაში ჩართულ მომხმარებელთა ინტერესები და მათთვის მეორე პროექტიც აამოქმედა, ვებპორტალი **mygwp.ge**, რომელზეც წვდომის შესაძლებლობა ხელშეკრულების მქონე თითოეულ აბონენტს მისთვის მინიჭებული უნიკალური პაროლის მეშვეობით შეუძლია. უნიკალურ პაროლს თითოეული აბონენტი მობილურ ტელეფონზე მიიღებს და ის თვეში ერთხელ შეიცვლება უსაფრთხოების მიზნით.

როგორც ბილინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი აცხადებს, „ამიერიდან კომპანიის წარმომადგენელი მრიცხველის ანათვალს კვარტალში ერთხელ აიღებს, ხოლო შუალედურ პერიოდში, ორი თვის მანძილზე, კონკრეტულ აბონენტს გადასახადი თავისი საშუალო ხარჯის, ანუ „შეფასებითი დარიცხვის“ წესის მიხედვით დაერიცხება. ჩვენი აბონენტებისთვის, ასევე, შევქმენით პორტალი **mygwp.ge**. სწორედ ამ პორტალის საშუალებით, აბონენტის ნომრისა და პაროლის მითითებით, მომხმარებელი დარიცხული თანხის კორექტირებას მრიცხველის ჩვენების შესაბამისად მოახერხებს“.

კვარტალური დარიცხვის პროგრამაში ჩართულ აბონენტებს კომპანია შესაძლებლობას აძლევს, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ მრიცხველის რეალური ჩვენება გაუგზავნონ, რომელიც კომპანიის ბილინგის სისტემაში ავტომატურად აისახება. შედეგად, დარიცხული თანხის კორექტირება აბონენტის მიერ მითითებული მრიცხველის ჩვენების შესაბამისად მოხდება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, კომპანიის წარმომადგენელი მრიცხველის ჩვენებას კვარტალში ერთხელ ადგილზე მისვლით მაინც დააფიქსირებს. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი საცხოვრებელ ადგილს შეიცვლის, მან ამის შესახებ ინფორმაცია კომპანიის სერვისცენტრში მისვლით უნდა დააფიქსიროს. გაურკვევლობის შემთხვევაში კი, აბონენტს კომპანიის ცხელი ხაზი მოემსახურება.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ კიდევ ერთი ახალი პროექტია **SMS** შეტყობინების პროგრამა, რომელიც მომხმარებლის უკეთ ინფორმირების მიზნით შეიქმნა. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ პიარისა და მარკეტინგის ჯგუფის უფროსმა თიკო მაკარიძემ პროექტის პრეზენტაციისას განაცხადა, რომ პროექტის მიზანია, წყალმომარაგების გეგმიურად თუ ავარიულად შეწყვეტის შემთხვევაში, მობილური ტელეფონის საშუალებით, მოსახლეობის ოპერატიულად ინფორმირება.

კომპანიაში აცხადებენ, რომ ამიერიდან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ აბონენტები, მინიმუმ ერთი საათით ადრე მიიღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ მათ საცხოვრებელ უბანს ავარიის ან დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, შესაძლოა, წყალმომარაგება შეუწყდეს. მომხმარებელი, მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, წყალმომარაგების აღდგენის დროსაც შეიტყობს.

ამ ეტაპზე ინფორმაცია, წყლის შეწყვეტის მიზეზისა და წყალმომარაგების აღდგენის დროის მითითებით, უკვე 45 000 აბონენტს ეგზავნება. პარალელურად, კომპანია ბილინგის არსებული ბაზის სრულყოფას ცხელი ხაზის, კვარტალური დარიცხვის პროგრამისა და სერვისცენტრების მეშვეობით ახორციელებს.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ყოველთვის ცდილობს, გააუმჯობესოს მომსახურება, რომელსაც აბონენტებს სთავაზობს. სწორედ ამიტომ, კომპანიამ შეიმუშავა ახალი პროექტები, რომელსაც თებერვლიდან ახორციელებს.

შორენა გოგოლაძე

ექსკლუზივი

ქართველების „ოცნება“ ასრულდა

რატომ შეარჩინა ფრანგულმა სასამართლომ კეზერაშვილს ყველაფერი?

27 თებერვალს საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის ექსტრადირებაზე საფრანგეთის სასამართლომ უარი განაცხადა. გამოდის, კეზერაშვილი ფრანგულ მართლმსაჯულებასაც დაუსხლტა ხელიდან და ქართულსაც.

როგორც მისი ადვოკატი, შოთა მინდელი ამბობს, საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კეზერაშვილს თვალთვალის ელექტრონული სამაჯურიც მოეხსნება. შეგახსენებთ, რომ ის საფრანგეთში 2013 წლის 15 ოქტომბერს დააკავეს და სასამართლომ პატიმრობიდან ელექტრონული სამაჯურის გამოყენების პირობით გაათავისუფლა. საქართველოში კეზერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ორი საქმეა აღძრული, ერთი კონტრაბანდული სპირტის თაობაზე, რამაც ბიუჯეტს ათეულობით მილიონით აზარალა. მეორე – ტელეკომპანია „იმედისა“ და რიყის ტერიტორიის გასხვისებაზე, სადაც ის ბრალდებულია გიგი უგულავასთან ერთად.

სულ ცოტა ხნის წინ იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი ამბობდა, რომ ის ფრანგ კოლეგას ესაუბრა და აუხსნა (როგორც ჩანს, კარგად ვერ აუხსნია), თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამართლიანობისთვის საქართველოში კეზერაშვილის ჩამოყვანა:

„მას შემდეგ, რაც საფრანგეთი მიიღებს მასალებს, ჩვენ ველოდებით სასამართლოს გადაწყვეტილებას. დარწმუნებული ვარ, გარეშე ძალების მცდელობა კეზერაშვილის გასათავისუფლებლად, სრული კრახით დასრულდება“.

ვერ გამოდგა თეა წულუკიანი კარგი წინასწარმეტყველი, არ გამართლდა მისი სიტყვები, გარეშე ძალების მცდელობა წარმატებით დასრულდა. მეტიც, თავად კეზერაშვილი აცხადებს, რომ ის ფრთიანი ანგელოზია და ტყუილად ედავებიან:

„ძალიან მიხარია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საფრანგეთის სასამართლომ, იმიტომ, რომ ორივე საქმე ჩემს წინააღმდეგ აბსოლუტურად ხელოვნური იყო“.

როგორც პოლიტოლოგი კახი კახიშვილი აცხადებს „ალიასთან“ საუბარში, ჩვენმა პროკურატურამ ვერ გაქაჩა:

„როცა უარს გეუბნებიან, გამოდის, რომ პროკურატურამ მკაფიოდ ვერ დაასახელა ის არგუმენტები, რის საფუძველზეც უნდა მოეხდინათ ექსტრადიცია. ახლა ევროკავშირის ქვეყნებში ექსტრადაციის საკითხს ველარ დააყენებენ. თუ რამე სხვა საქმეზეც დააყენებენ ძებნას, ეს სხვა საკითხია“.

გასაგებად რომ აგიხსნათ, იგივე საქმეებზე საქართველოს მთავარი პროკურატურა ევროკავშირის ქვეყნებში ექსტრადაციის საკითხს ველარ დააყენებს, ანუ ორი საქმე ჩაფლავდა. მართალია, სასამართლომ კეზერაშვილს საფრანგეთიდან გასვლა აუკრძალა და ევროპის წამყვან ქვეყნებში სეირნობას მოერიდება, მაგრამ იმავე „გარე ძალების“ დახმარებით თავის მშობლიურ ისრაელში თუ გააღწია, მეყოლეთ ვარდვითი, არჩიეთ საქართველოში საქმეები.

იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი ამის შესახებ აგრესიულ განცხადებას აკეთებს და ყველაფერს ფრანგ პროკურორს აბრალებს:

გაგრძელება მეექვსე გვერდზე

თიბისი ბანკისა და ლიბერთი ბანკის მომხმარებლები გაფართოებული ქსელით ისარგებლებენ

თიბისი ბანკისა და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორებმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ და გიორგი არველაძემ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც მომხმარებლებისთვის გაფართოებულ ქსელსა და დაბალი ტარიფებით სარგებლობას გულისხმობს.

თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი თიბისი ბანკის სათავო ოფისში მოეწერა.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გულისხმობს ორი ბანკის საპროცესინგო სისტემების ერთმანეთთან პირდაპირ დაკავშირებას, რაც მათ მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, ერთმანეთის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები შეასრულონ საერთაშორისო საგადასახადო სისტემების გარეშე.

ორი ბანკის თანამშრომლობის შედეგად თიბისი ბანკის მომხმარებლები, შეძლებენ თიბისი ბანკში არსებული ტარიფით გაანაღდონ თანხა ლიბერთი ბანკის ბანკომატებითაც, ასევე ისარგებლონ იმავე ტარიფებით ლიბერთი ბანკის პოს ტერმინალებში. იგივე ვრცელდება ლიბერთი ბანკზეც. მათი მომხმარებლებიც თიბისი ბანკის ბანკომატებიდან და პოს ტერმინალებიდან მიიღებენ მომსახურებას იმავე ტარიფით, რაც ლიბერთი ბანკში აქვთ.

თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ განაცხადა, რომ ერთობლივი პროექტის მიზანია, მომხმარებელს გაუადვილონ ის ფინანსური ოპერაციები, რომელსაც ბანკის კლიენტები ბანკომატებისა და პოს ტერმინალების საშუალებით ახორციელებენ.

„ჩვენ გვაქვს პოს ტერმინალების ყველაზე დიდი ქსელი, რომელშიც შედის 5 000-ზე მეტი პოს ტერმინალი. ამიერიდან როგორც თიბისი ბანკის კლიენტებს, ასევე ლიბერთი ბანკის კლიენტებსაც საშუალება ექნებათ, მთელი საქართველოს მასშტაბით ორივე ბანკის ბანკომატებითა და პოს ტერმინალებით იგივე ტარიფებით მიიღონ მომსახურება უკვე გაფართოებულ ქსელში და ეს მოხდება 600 ბანკომატისა და 5000-ზე მეტი პოს ტერმინალის საშუალებით. ეს იქნება ამიერიდან ყველაზე დიდი ქსელი საქართველოში, რაც ძალიან მოსახერხებელი იქნება ჩვენი კლიენტებისთვის, ვინაიდან, მოგეხსენებათ, რომ თიბისი ბანკი ძირითადად წარმოდგენილია თბილისში და მსხვილ ქალაქებში, ხოლო ლიბერთი ბანკი წარმოდგენილია როგორც დიდ ქალაქებში, ასევე შედარებით პატარა რაიონებში. ამ თანამშრომლობით ორივე ბანკის კლიენტებს საშუალება აქვთ, მომსახურება მიიღონ მთელი საქართველოს მასშტაბით“, – განაცხადა ბუცხრიკიძემ.

ხელშეკრულების თანახმად, 2014 წლის 1-ლი მარტიდან ლიბერთი ბანკის მომხმარებლებიც შეძლებენ, ისარგებლონ თიბისი ბანკის 260 ბანკომატით, თანხის განაღდების ლიბერთი ბანკში არსებული ტარიფებით, რომლის მინიმალური საკომისიო შეადგენს 0.5%-ს.

ორ უმსხვილეს ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, უკვე შესაძლებელია, ლიბერთი ბანკის მიერ ემიტირებული 700,000-ზე მეტი **P(Agro baraTi, Smartivi, Fortuna** და ა.შ.) და **Union Pay** საგადასახადო სისტემების ბარათებით ანგარიშსწორება და თანხის განაღდება თიბისი ბანკის პოს ტერმინალებსა და ბანკომატებში.

ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის გიორგი არველაძის თქმით, ლიბერთი და თიბისი ბანკებს შორის დადებული ხელშეკრულება არა მხოლოდ ამ ორი საფინანსო ორგანიზაციისთვის იქნება მომგებიანი, არამედ მთელი საბანკო სექტორისთვის.

„ამ ხელშეკრულების საშუალებით გაორმაგდა როგორც ბანკომატების, ისე პოს ტერმინალების რაოდენობა ორივე ბანკის მომხმარებლებისთვის. ამის საშუალებით ორივე ბანკის კლიენტი მიიღებს მომსახურებას გაცილებით იაფად, ვიდრე ეს ამ დრომდე იყო შესაძლებელი. ეს შეეხო დაახლოებით ერთ მილიონზე მეტ ადამიანს. ამიტომ ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ეს ხელშეკრულება როგორც ამ ორი კონკრეტული ბანკისთვის, ისე საბანკო სექტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო. რა თქმა უნდა, თანამშრომლობას გავაგრძელებთ და იმედი გვაქვს, რომ ბევრად უფრო კომფორტულსა და იაფს გავხდით ჩვენი მომხმარებლებისთვის მომსახურებას მსგავსი ერთობლივი პროექტებით“.

რატომ თიბისი? ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორი ამბობს, რომ მათი სურვილი იყო, ისეთ ბანკთან შემდგარიყო თანამშრომლობა, რომელიც საცალო მიმართულებით არის ყველაზე დიდი ბანკი საქართველოში, ასეთი კი თიბისი ბანკია.

ბანკების საპროცესინგო სისტემების პირდაპირი ჩართვა საქართველოში უპრეცედენტოა. ბანკები მომხმარებლებისთვის მეტი კომფორტისა და უფრო დაბალი ტარიფების შეთავაზების მიზნით თანამშრომლობის გაგრძელებას მომავალშიც გეგმავენ. 27 თებერვალს მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება კი უვადოა.

შორენა გოგოლაძე

შსს-მ ე.წ „მაზაგშიკები“ დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ე.წ „მაზაგშიკები“ დააკავეს. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის განცხადებით, ორი თვის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარე კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რეგისტრაციის ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე განხორციელებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით თბილისში დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ე.წ „მაზაგშიკები“ – ვასილ ლ., მამუკა კ., ბუბა ბ., ნუგზარ დ., გიორგი ჯ., გრიგოლ ლ. და ლუკა მ. არიან დაკავებულები.

მისი თქმით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა საშუალებით, სპორტული თამაშების შედეგებთან დაკავშირებით უკანონო ფსონებს იღებდნენ. მოთამაშეები წაგებული თანხის გადასახდელად და სოლიდური თანხების შესაგროვებლად სხვადასხვა სახის დანაშაულს, კერძოდ, ქურდობას, ძარცვასა და ყაჩაღობას სჩადიოდნენ, რაც სამართალდამცავმა ორგანოებმა არაერთხელ აღკვეთეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მოთამაშეები წაგებული ფულის სანაცვლოდ გადასცემდნენ, ან ალომბარდებდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას ბინებისა და ავტომანქანების სახით. წაგებული ფულის დაგვიანების შემთხვევაში, მოთამაშეებსა და ბრალდებულებს შორის იმართებოდა სისხლიანი გარჩევები, ხოლო რიგ შემთხვევაში, ეს გარჩევები თვითმკვლელობით მთავრდებოდა.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ვასილ ლ., მამუკა კ. და ბუბა ბ. წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის არიან ნასამართლევი.

გამოძიება რეგისტრაციის ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე განხორციელებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ინტერფაქსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

მეხუთე გვერდიდან

„ძალიან ვწუხვარ, რომ ფრანგი მოსამართლე აღმოჩნდა ისეთი უთანასწორო პირობების წინაშე, როგორიც იყო, ერთი მხრივ, კეზერაშვილის ძვირადღირებული ადვოკატი და მეორე მხრივ, ფრანგი პროკურორი, რომელმაც, როგორც ჩანს, ძვირადღირებულ ადვოკატს ღირსეული და სათანადო კონკურენცია ვერ გაუწია. ფრანგ პროკურორს ქართველი სამართალდამცველების სახელით ევალებოდა, დაეცვა ჩვენი ინტერესი. ეს ასე ვერ მოხდა“.

აწი, ბოდიშიც გვქონია მოსახდელი, მართალი ყოფილა...

რას ამბობთ, ქალბატონო თეა, წინა პროცესზე თქვენმა გაგზავნილმა ქართველმა პროკურორმა დონდოლაძემ ხომ ბდღვირი ადინა კეზერაშვილის ადვოკატებს... მაშინ ხმა არ ამოგიღიათ, რატომ იყო ჩვენი პროკურორი ასე უსუსური.

როგორც ჩვენი კოლეგა, საფრანგეთში მცხოვრები გიორგი ფოფხაძე ამბობს, თეა წულუკიანი შეცდომაშია შეყვანილი:

– ეს, პირველ რიგში, პროკურატურის ჩავარდნაა... მე მინდა, თეა წულუკიანს „ალიას“ საშუალებით მივმართო: ფრანგი პროკურორი იყო აღშფოთებული იმიტომ, რომ ქართველმა პროკურორებმა ვერ მიაწოდეს დამამტკიცებელი მასალები, რის შემდეგაც ძალიან მაღალ დონეზე დააყენებდა მოთხოვნას. აქ ძვირადღირებული ადვოკატები არაფერ შუაში არ არიან, მე ვესწრებოდი ამ პროცესს და საკუთარი თვალით ვნახე, რომ მათ დიდი მუშაობა არ დასჭირვებიათ, ოთხიდან სამი ისე იჯდა, არც ერთს ხმა არ ამოუღია. მე არ დამავიწყდება ფრანგი პროკურორის წამოძახილი: თქვენ რაღაც სისულელეებს მელაპარაკებითო! გამწარებული იყო... საქართველოდან ჩამოსული პროკურორი რომ გეტყვის, ეგ ჩემი კომპეტენცია არ არის, ვერ ვერკვევი, თბილისში გადავრეკავო, რა უნდა გააკეთო?

— თეა წულუკიანი ერთ საკითხშიც იჭრება მაგრად... მე რაში მაინტერესებს, კეზერაშვილმა როგორი ადვოკატები დაიქირავა? ესე იგი, ყველა დამნაშავე რომ გაიქცეს აქედან და ძვირადღირებული ადვოკატები დაიქირავონ, ყველა დონეზე უნდა ჩავფლავდეთ? თუ სახელმწიფო ხარ, შენც გაგზავნე მაღალი დონის პროკურორები, თუ არ გყავს, მაშინ აღიარე, რომ ბანძი ხარ!

– რა თქმა უნდა, გეთანხმები, შენ თუ სახელმწიფო ხარ, უნდა დაამტკიცო. ვიმეორებ: ძვირადღირებულ ადვოკატებს იქ ისეთი არაფერი უთქვამთ, როცა საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელმა ილაპარაკა, იცი, როგორი მზერა ჰქონდათ? შვებით ამოისუნთქეს, სამუშაო აღარ გვაქვსო. თეა წულუკიანს გავახსენებ ქართულ ფილმ „ფეიოლას“, ბურთს მიხედე, ხვედელიძეო, რომ ყვირის იპოლიტე ხვიჩია... პროკურატურას მიხედე, თეა, პროკურატურას! ძვირადღირებულ ადვოკატებს ეს პროცესი არ მოუგიათ, ჩვენმა პროკურატურამ თავისი უსუსურობით ჩააგდო ყველაფერი. მე ძალიან ბევრ პროცესს დავსწრებივარ და გამიშუქებია, ვიცი, ფრანგი ადვოკატები როგორ მუშაობენ. მაგალითად, მათ ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესზე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს. აი, ეს იყო ნამდვილი ბრძოლა.

— გიორგი, თეა წულუკიანი ამ პროცესამდე აცხადებდა, გარეშე ძალებს არაფერი გამოუვათო, ვის გულისხმობდა?

– სანამ მაგაზე გიპასუხებ, ვიტყვი, რომ ამ საქმეებზე ქართული მხარე კეზერაშვილის ექსტრადაციას ვეღარ მოითხოვს, არსებობს მაასტრიხტის ხელშეკრულება და ეს ვრცელდება ევროკავშირის 28 ქვეყანაზე. რაც შეეხება გარეშე ძალებს, მე თეას გამოთქმებს ძალიან კარგად ვიცნობ და წელინად-ნახევარია, ამაზე ვყვირივარ, ახალ ხელისუფლებას პიარი აქვს მიშვებული ძალიან დაბალ დონეზე. იმდენად კარგად იმუშავეს „ნაციონალებმა“ ამ მხრივ, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებსაც კი ვეღარ ვაჯერებ რაღაც-რაღაცებში. ჩვენი სამთავრობო პიარმანქანა მუშაობს ძალიან ცოტა გამოფხიზლდით, ყურები გამოიფხიკეთო, მაგრამ როგორც ვხედავთ, ეს არ გამოვიდა.

საფრანგეთის სასამართლო არ არის ისეთი, რომ ვინმემ გავლენა მოახდინოს, სარკოზიმ ვერ მოახდინა თავის დროზე გავლენა, კეზერაშვილისა და „ნაციონალების“ ლობისტები ვინ არიან? უბრალოდ, ადვოკატებმა გამოიყენეს თბილისიდან მოწოდებული ინფორმაცია, რაც ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი დაფიქსირდა. სამწუხაროდ, ამ მხრივ არაფერი არ გააკეთა ხელისუფლებამ.

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ალასანია ბრიუსელში შეხვედრებს მართავს

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ალასანიამ შეხვედრები გამართა ევროკავშირის თავდაცვის სააგენტოში.

ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარესთან, გენერალ პატრიკ დე რუზიესთან შეხვედრისას ქართველი სამხედროების ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში ჩართვის საკითხი და ოპერაციის კონკრეტული დეტალები განიხილეს.

„საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა ევროკავშირთანაც და ნატო-სთანაც ძალიან დინამიკურად ვითარდება. იცით, რომ საქართველო ერთვება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ოპერაციაში. ამიტომაც მქონდა შეხვედრა ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარესთან. განვიხილეთ ამ ოპერაციის დეტალები. საქართველოს ისინი აღიარებენ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სამხედრო ძალას, რომელიც მიიღებს მისიაში მონაწილეობას“, – განაცხადა ალასანიამ.

ქართული დელეგაცია ვიზიტის ფარგლებში აშშ-ის ევროპულ სარდლობაშიც იმყოფებოდა.

„გვქონდა განხილვა ავღანეთში მიმდინარე ოპერაციების და ასევე, ორმხრივი თანამშრომლობის, რა ფორმატშიც საქართველოს შეუქმნიან დამატებით თავდაცვით შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე, სწორედ ეს დღეები გვექნება საუბარი ჩვენი სამხედრო შესაძლებლობების გაზრდაზე და საქართველოს მომავალ ოპერაციებში მონაწილეობაზე“, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა. (ინტერფაქსი)

ღარიბაშვილი კონგრესის უმცირესობის ლიდერს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, კონგრესის უმცირესობის ლიდერს, ნენსი პელოსს შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, საუბრის ძირითადი თემა საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები იყო. პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ კონგრესი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მომავალშიც მხარს დაუჭერს. შეხვედრაზე ასევე განხილული იყო საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების ცალკეული ასპექტები, გამოითქვა თანამშრომლობის გაღრმავების მზადყოფნა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერისა და ნატო-ს სამიტის გათვალისწინებით საქართველოსთვის აშშ-ის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. (ინტერფაქსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობაზე ოთხი განაცხადი შეკიდა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში პარლამენტს ოთხი პირის განაცხადი წარედგინა. აღნიშნული ადგილის დასაკავებლად კანდიდატს ხმათა 2/3 სჭირდება.

კანონით დადგენილ ვადაში პარლამენტს განაცხადი წარუდგინეს: ლევან ბოძაშვილმა (წარადგინა ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა), გიორგი გიორგაძემ (წარადგინა გორის სასწავლო უნივერსიტეტმა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა), ცისმარ ონიანმა (წარადგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ) და თეა ჯუღელმა (წარადგინა აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტმა).

საკითხი დღეს განიხილეს. როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, კანდიდატების მიერ წარდგენილი საბუთები კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს შეესაბამება და დოკუმენტაცია წესრიგშია.

კანდიდატებთან დაკავშირებულ მასალების კომიტეტი შემდგომი პროცედურების გასავლელად პარლამენტის ბიუროს გადასცემს. შემდგომში განხილვები წარმართება ფრაქციებში და ამის შემდეგ კანდიდატის არჩევის საკითხი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გავა. (ინტერფაქსი)

„ამ პროცესში რუსეთი არ ჩაერევა“

ინტერვიუ რუს ექსპერტთან

მომავალ კვირაში თბილისში რუს ექსპერტთა და მეცნიერთა ჯგუფი ჩამოვა, რომლებიც ქართველ კოლეგებთან რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივებს განიხილავენ. გთავაზობთ ინტერვიუს ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრთან, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორთან, რუსეთის საერთაშორისო საქმეთა სამეცნიერო საბჭოს წევრთან, ვიტალი ნაუმკინთან.

ვიტალი ნაუმკინი

— ბატონო ვიტალი, იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში რუსულ-ქართული ურთიერთობები საკმაოდ რთული იყო და 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა, თქვენი აზრით, როგორი შეიძლება იყოს რუსულ-ქართული ურთიერთობების დღის წესრიგი?

– ჩემი აზრით, ეს დღის წესრიგი შეიძლება ეფუძნებოდეს იმ რეალურ ძვრებს, რომლებიც ორი ქვეყნის ურთიერთობებში უკვე მოხდა. მხედველობაში მაქვს რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის შესვლა, სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენა, ვიზების გაცემის გამარტივება და, რაც მთავარია, ურთიერთობებს შორის კლიმატის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომლის წარმოდგენა ერთი წლის წინაც კი, შეუძლებელი იყო. უდავოა, რომ ამ პროცესს არ შეუძლია გადაწყვიტოს მთავარი და ყველაზე საკვანძო საკითხები, რომლებიც ორ ქვეყანას აქვთ და რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემებს უკავშირდება.

ვფიქრობ, არ არის საჭირო მხოლოდ ამ საკითხებით შემოფარგვლა და თვალების იმაზე დახუჭვა, რომ ამ საკითხზე მხარეებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. გასაგებია, რომ საქართველო არ შეეგუება ტერიტორიების დაკარგვას და არ შეუძლია, აღიაროს მათი დამოუკიდებლობა, მაგრამ ისიც ასევე გასაგები უნდა იყოს, რომ რუსეთი მათ აღიარებას არ გეგმავდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ გარკვეულ ვითარებაში აღიარა ამ ორი ტერიტორიის დამოუკიდებლობა, ახალა უკან ვერ დაიხევს. მიუხედავად ამისა, ამ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობების განხილვა შეიძლება.

ჩემი აზრით, პირველ რიგში, ალბათ, შესაძლებელია იმაზე მსჯელობა, რა ვითარებაში შეიძლება მიიღოს რუსულმა საზოგადოებრივმა აზრმა ასეთი პოზიცია – თუ ოდესმე სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები ერთმანეთს იმდენად დაუახლოვდებიან, იმდენად აღარ ექნებათ ერთმანეთის შიში, დაივიწყებენ იმ პრობლემებს, რომლებმაც ისინი ერთმანეთისგან გაყო, შესაძლებლად ჩათვლიან კონფედერაციული მოწყობის საფუძველზე ერთმანეთთან ისევ ისე დაახლოებას, რაც იმის ნაწილობრივ აღდგენად აღიქმება, რაც მანამდე იყო, ეს რუსული საზოგადოებრივი აზრისთვის მისაღები იქნება. მე ახლა ვსაუბრობ საზოგადოებრივ აზრზე, რაზეც ექსპერტებმა შეიძლება იმსჯელონ.

თუ ხვალ საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კვლავ ერთად ყოფნა მოუნდებათ, არა აქვს მნიშვნელობა რა ფორმით, ამ პროცესში რუსეთი არ ჩაერევა. თუ მათ შემოუერთდებიან სომხეთი და აზერბაიჯანი და მთიანი ყარაბახის პრობლემას გადაწყვეტენ, რუსეთი მხოლოდ მიესალმება.

— უკაცრავად, ბატონო ვიტალი, თქვენ საქართველოს კონფედერაციულ მოწყობაზე საუბრობთ, თუ მთლიანად სამხრეთ კავკასიის ფედერაციულ თუ კონფედერაციულ მოწყობაზე?

– მნიშვნელობა არა აქვს, კავკასიის ფედერაცია იქნება ეს, თუ ქართული სახელმწიფო ახალი ფორმით ფედერაციისა თუ კონფედერაციის საფუძველზე. ეს რუსეთმა კი არა, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. საქართველომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის მიმზიდველობა დაკარგა. რატომ არ შეიძლება განვიხილოთ სიტუაცია, როცა შესაძლოა, ვითარება ძირეულად შეიცვალოს. ამ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამიცვლა შესაძლებელია. დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნები იმავე აფხაზეთთან ამყარებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს და თანამშრომლობენ მასთან. ვითარება იცვლება, თავად საქართველო იხრება იმისკენ, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან თავიდან აგოს ურთიერთობები და ამ გზით მიაღწიოს ამ ტერიტორიებზე სუვერენიტეტის დაბრუნებას.

მეორე – არსებობს გარკვეული ფორმულები. ამგვარი კონფლიქტების მაგალითებზე ჩვენ ვიცით, თუ არსებობს კეთილი ნება, რომ

გაგრძელება მერვე გვ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ადვოკატი პროკურატურას ყოფილი პატიმრის დაცვას სთხოვს

პატიმარ ზაზა აზარიაშვილის განცხადებით, ვახტანგ მაისაიას ლიკვიდაციაზე უარის თქმის გამო აწამეს. მისი თქმით, გლდანის №8 დაწესებულებაში საკანში იგი ვახტანგ მაისაიასთან ერთად იმყოფებოდა. როგორც ზაზა აზარიაშვილმა აღნიშნა, მას ვახტანგ მაისაიას ლიკვიდაცია გლდანის №8 დაწესებულების დირექტორმა ალექსანდრე მუხაძემ შესთავაზა.

„ალექსანდრე მუხაძემ შემომთავაზა ესეთი რამე, ფულადი ყოველთვიური 500 ლარი და გადაყვანა სამეურვეო ნაწილში, საიდანაც მისი რეკომენდაციით ძალიან მალე გავთავისუფლდებოდი. ამის სანაცვლოდ ვახტანგ მაისაიასთვის უნდა დამერტყა ციხეში დამზადებული ე.წ. „შტირი“, რომელსაც მომცემდა თვითონ ალექსანდრე მუხაძე. მე ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადე და ამას მოჰყვა ჩემი წამება“, – განაცხადა აზარიაშვილმა.

აზარიაშვილის ადვოკატის, თამარ ავალიანის განცხადებით, 2013 წლის 2 დეკემბერს ყოფილმა პატიმარმა ზაზა აზარიაშვილმა საჩივარი შეიტანა მთავარ პროკურატურაში და მოითხოვა მის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტების გამოძიება, რომელშიც მხილებულნი იყვნენ გლდანის №8 დაწესებულების ყოფილი დირექტორები თამაზ მელაძე და ალექსანდრე მუხაძე.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ აზარიაშვილის წამების საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, წყნეთის პოლიციის უფროსმა, კონსტანტინე ფუხაურმა და მისმა მოადგილე, ზაალ ტაბატაძემ არაერთხელ განახორციელეს აზარიაშვილზე ზეწოლა და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომ მას საჩივარი გამოეტანა.

ადვოკატის განცხადებით, აზარიაშვილზე ზეწოლა პერმანენტულად მიმდინარეობს. მისივე მტკიცებით, 2014 წლის 25 თებერვალს წყნეთში, ფიროსმანის ქუჩაზე ზაზა აზარიაშვილს, თამაზ მელაძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის გამო, ოთხი პირი თავს დაესხა და სასტიკად სცემა.

თამარ ავალიანის განცხადებით, პროკურატურამ უნდა განახორციელოს ზაზა აზარიაშვილის დაცვის სპეციალური ღონისძიებები ვინაიდან ის, როგორც დაზარალებული და როგორც მოწმე, არის დაუცველი. „ამასთანავე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კონსტანტინე ფუხაურსა და მის მოადგილეს ზაალ ტაბატაძეს უნდა შეუჩერდეთ უფლებამოსილება გამოძიების დაწყებიდან დასრულებამდე“, – განაცხადა თამარ ავალიანმა. (ინტერფაქსი)

ტელეკომპანიებს „ქუთაისსა“ და „ტელეარს 25“-ს სანქცია დაეკისრათ

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანიებს „ქუთაისსა“ და „ტელეარს 25“-ს სანქცია დააკისრა. კომისიის ცნობით, მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ტელეკომპანიები სამაუწყებლო ბადეში გარკვეულ არალიცენზირებულ მხატვრულ და ანიმაციურ ფილმებს ათავსებდნენ.

კომისიის გადაწყვეტილებებით, ორივე ტელეკომპანიას დაეკისრა სანქცია, წერილობითი გაფრთხილება და დაევალათ მხოლოდ ლიცენზირებული ტელეპროდუქციის განთავსება საკუთარ სამაუწყებლო ბადეში. (ინტერფაქსი)

უკრაინის ახალმა პრემიერმა კაბინეტის წევრებს დაყალებები მისცა

უკრაინის ახალმა პრემიერმა არსენ იაცენიუკმა შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვს კიევის ქუჩებში წესრიგის დამყარებისკენ მოუწოდა, პირველ ვიცე-პრემიერ ვიტალი იარემას კი ქვეყანაში სიმშვიდისა და სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა დაავალა.

ახლად დანიშნულმა პრემიერმა კაბინეტის ყველა წევრს მოუწოდა, დროულად დაამყარონ კონტროლი თავის სფეროებში. საგარეო საქმეთა მინისტრს დაევალა უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკებები გამართოს ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრი კი ვალდებულია, წარმოადგინოს ანგარიში ქვეყანაში შექმნილი ფინანსური ვითარების შესახებ.

„ჩვენ დღეს და ხვალ ვითარების გამოსწორების პირობას ვერ ვდებთ. ყველაფერი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზებაა, არაპოპულარული გადაწყვეტილებების გამოყენებით“, – განაცხადა იაცენიუკმა. (ინტერფაქსი)

რას ურჩევს უსუფაშვილი ბოკერიას?

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიგა ბოკერიას მიერ ახალი ხელისუფლების უკრაინის ექსპრეზიდენტ იანუკოვიჩთან შედარებას ეხმაურება და აცხადებს:

„ამ პოზიციას რომ არ ვიზიარებ, ეს ცხადია, მაგრამ ინტერესი რომ მინელდება ბატონი ბოკერიას ნააზრევის გაცნობისა, ესეც ფაქტია, რადგან ბოკერიას რას და რას, მაგრამ გამჭრიახობას და ჭკუას ვერ დაუწუნებდი. რაში და როგორ იყენებდა ამას, ეს სხვა საკითხია. მე ვეთანხმები დავით ბერძენიშვილს, რომ დეკვალიფიკაციის დონე მაკვირვებს ბოკერიასიო. ერთს კი ვურჩევდი მას და მისი გუნდის წევრებს, ცოტა მეტი ეფიქრათ საკუთარი პარტიის ლიდერსა და თავმჯდომარეზე, სად არის და რითია იგი დაკავებული, – მიხეილ სააკაშვილს ვგულისხმობ. „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ლიდერიც უკრაინის თემებითაა დაკავებული, თუ ეს არის მათი პოლიტიკა და საქმიანობა, მგონია, რომ ამაზე აგოს პასუხი ყველამ, ვიდრე ეს ყოვლად უსაფუძვლო შედარებები აკეთონ, თუმცა წმინდა პოლიტიკურად და პრაგმატულად, მე ამაზე უკეთესს ვერაფერს ვისურვებდი, რასაც პარლამენტში მისი გუნდის წევრები საუბრობენ. რაც მეტად ისაუბრებენ ასე, მით უფრო მეტ კარგ საქმეს გააკეთებენ „ქართული ოცნებისთვის“ და საქართველოსთვის“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ფრონტნიუსი)

სასამართლომ უგულავას სარჩელი წარმოებაში ნაწილობრივ მიიღო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა გიგი უგულავას სარჩელი წარმოებაში ნაწილობრივ მიიღო. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებაშია აღნიშნული, კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ აკმაყოფილებდა არსებითად განსახილველად მიღებისთვის კანონმდებლობით დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებს. სასამართლოს განმარტებით, შუამდგომლობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

„2014 წლის 27 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საოქმო ჩანაწერით, არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს მოქალაქის გიორგი უგულავას კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №574) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოსარჩელე ითხოვდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების არაკონსტიტუციურად ცნობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის საფუძველზე, შესაძლებელია ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება, ხოლო 160-ე მუხლის მე-2 წინადადება ითვალისწინებს თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ბრალდებულის დასწრების გარეშე.

მხარეთა მოსმენისა და საქმის მასალების განხილვის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა გადაწყვიტა, რომ კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ აკმაყოფილებდა არსებითად განსახილველად მიღებისთვის კანონმდებლობით დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებს და, შესაბამისად, დასაშვებად ცნო იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით და ამავე კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

მოსარჩელე გიორგი უგულავამ ასევე დაყენა შუამდგომლობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელის აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. საქმეს არსებითად განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერფაქსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

მეშვიდე გვერდიდან

„ამ პროცესში რუსეთი არ ჩაერევა“

ბორის აკუნინი

Yuri Timofeyev (RFE/RL)

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები კონსტრუქციულად განვითარდეს, ვფიქრობ, საეკლესიერტო დონეზე ისინი უნდა იქნას განხილული. ჩვენ ხომ პოლიტიკოსები არ ვართ, ჩვენ ექსპერტები ვართ და რატომ არ შეიძლება ვისაუბროთ ამგვარ, გადადებულ საკითხებზე, თუ სიტუაცია იმგვარია, რომ მათი დიპლომატიური გზით გადაწყვეტა შეუძლებელია. მხარეები შეურიგებელ პოზიციებზე დგანან, მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და მეორე მხრივ საქართველო. ასეთ სიტუაციაშიც კი საჭიროა გადადებულ საკითხებზე საუბარი. გადადებულმა საკითხებმა არ უნდა შეუშალოს ხელი რუსეთსა და საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობების განვითარებას. ჩვენ გვაქვს ეკონომიკური ინტერესები, გვაქვს გარკვეული კონფესიური და ცივილიზაციური სიახლოვე. ჩვენ გვაქვს ერთი საფრთხეები, იგივე ექსტრემიზმის საფრთხე, რომელიც სამხრეთიდან მოდის. სამხრეთის მიმართულებაზე არსებობს ექსტრემიზმის ტალღის საფრთხე, რომლის დროსაც შესაძლოა, საფრთხეში აღმოჩნდეს მართლმადიდებელი მოსახლეობა. ამგვარი საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდება ავღანეთიდან ამერიკელების გასვლის შემდეგ. ამიტომ, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენ ერთობლივად გავუწიოთ წინააღმდეგობა ამგვარ საფრთხეებს.

ასე რომ, არსებობს სივრცე ამგვარი საკითხების განხილვისთვის და არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ექსპერტებს პოლიტიკოსების ჩანაცვლება შეუძლიათ.

– აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ ქვეყნას გაკეთებული აქვს ევროპული არჩევანი. ვაშინგტონში ვიზიტისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ „საქართველო თავის ევროპულ არჩევანს არ გადახედავს“. უკრაინაში განვითარებული პროცესების შემდეგ, მას შემდეგ, რაც რუსეთმა აიძულა უკრაინა, უარი ეთქვა ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერაზე, რასაც კიევში ტრაგიკული პროცესების განვითარება მოჰყვა, საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა ასეთია – ამ ეტაპზე, სავარაუდოდ, როგორ პოლიტიკას გაატარებს კრემლი საქართველოსთან ურთიერთობაში?

– დავიწყებ იმით, რომ მე არ ვსაუბრობ კრემლის სახელით და წინასწარმეტყველი არ ვარ. მე ანალიტიკოსი და პოლიტოლოგი ვარ და ამიტომ შემიძლია გითხრათ, რომ კატეგორიულად არ ვეთანხმები უკრაინის პროცესების თქვენეულ შეფასებას. მიმაჩნია, რომ რუსეთს აბსოლუტურად არაფერი არ გაუკეთებია, რომ უკრაინისთვის რაიმეში შეეშალა ხელი. ამ თემაზე საუბარი მქონდა ამერიკელ კოლეგებთან. თუ შევადარებთ ერთმანეთს, როგორ იქცეოდა რუსეთი და დასავლეთი უკრაინაში, ორ ძალიან განსხვავებულ სურათს მივიღებთ.

რუსეთი არ ჩარეულა კიევის პროცესებში. უკრაინაში არ ყოფილან ჩვენი აგენტატორები, მშვიდად იქცეოდა ჩვენი პრესა, ოპოზიციის მიმართ მტრული განცხადებები არავის გაუკეთებია. მეტიც, ტიმოშენკო იმიტომ დაზარალდა, რომ თავის დროზე რუსეთთან გაზის მიღებაზე შეთანხმება გააფორმა. პარადოქსულია, მაგრამ ეს ხომ ფაქტია. ამიტომ ვერ დაგეთანხმებით, რომ რუსეთმა უკრაინის მოვლენებში მონაწილეობა მიიღო. ჩვენი ელჩი უკრაინაში ზურაბოვი საერთოდ არსად ჩანდა, მისი ხმაც კი არავის გაუგონია.

ერთადერთი რაც იყო, გახლდათ ის, რომ რუსეთი უკრაინას დახმარებას ჰპირდებოდა. ამას ხომ დასავლეთიც აკეთებდა. დასავლეთი დღეს ჩვენ გვეუბნება, მოდით, ერთად დავეხმაროთ უკრაინას. ალბათ, ასეც იქნება, როცა 25 მაისის არჩევნების შემდეგ უკრაინას ლეგიტიმური პრეზიდენტი ეყოლება.

ამის გარდა, ერთადერთი, რაც რუსეთმა გააკეთა, იყო ის, რომ დროებით დახურა უკრაინასთან საზღვარი. დიახ, რუსეთმა თქვა, – თუ უკრაინა გააფორმებს ევროკავშირთან შეთანხმებას, რუსეთი დაიცავს თავის ბაზარს და შეცვლის საბაჟო წესებს რუსეთ-უკრაინის საზღვარზე. სხვაგვარად რუსეთში უკრაინის გავლით ევროპიდან შემოვიდოდა საქონელი და რუსეთის ბიუჯეტი გადასახადების სახით საკმაოდ დიდ შემოსავლებს დაკარგავდა.

– რაც შეეხება ჩემი კითხვის მეორე ნაწილს?

– ვფიქრობ, რომ უკრაინული მოვლენები რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გასატარებელ პოლიტიკაზე არანაირად არ აისახება. მხედველობაში მაქვს ის, რის გაკეთებაც საქართველოს სურს. საქართველო ხომ არ დგას იმგვარი არჩევანის წინაშე, როგორი არჩევანიც უკრაინას ჰქონდა – საბაჟო კავშირი ან ევროპასთან ურთიერთობების გაღრმავება. რამდენადაც მესმის, ევროპულ ვექტორთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია ერთმნიშვნელოვანია. აკეთეთ და შეგერგოთ. ვინ შეგიშლით ხელს? ერთადერთი, რაც არ მოსწონს რუსეთს, ეს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების იდეაა. ამაში გასაკვირი არაფერი არ უნდა იყოს, ვინაიდან რუსეთს არ სურს, რომ მის საზღვრებთან ახლოს გაჩნდეს ნატო-ს ბაზები. ცხადია, რომ ამგვარი პერსპექტივა რუსეთს არ შეიძლება მოსწონდეს.

– ანუ მიიჩნევთ, რომ კიევში განვითარებული დრამის მიუხედავად, ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა კვლავ კრემლის დღის წესრიგის აქტუალური თემაა?

– დიახ, სწორედაც რომ ასე ვფიქრობ. უკრაინასთან თუ უკრაინის გარეშე ევრაზიული კავშირის შექმნა გაგრძელდება.

– ქართული წარმოშობის რუსი მწერლის, ბორის აკუნინის აზრით, „უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო პრეზიდენტი პუტინი ძალიან შეშინებულია. შიში კი ცუდი მრჩეველია“. რამდენად დიდია ყირიმის გამო უკრაინასა და რუსეთს შორის სამხედრო დაპირისპირების ალბათობა?

– ამგვარი ალბათობა ნულის ტოლია. რუსეთი მკაცრად იცავს იმ შეთანხმებებს, რომლებიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან იყო მიღწეული მათი საზღვრების აღიარების საკითხებში. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ 2008 წლის აგვისტომდე სამხრეთ ოსეთი მოსკოვისგან ამ რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში მიღებას და ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებას ითხოვდა, მაგრამ მოვლენათა განვითარების ასეთ სცენარს რუსეთი კატეგორიულად გამორიცხავდა სწორედ იმიტომ, მოსკოვი ცნობდა რუსეთსა და საქართველოს შორის აღიარებულ საზღვრებს. დღეს ჩვენ ყირიმი იმის გამო გვაწუხებს, რომ იქ ირღვევა რუსი მოსახლეობის უფლებები. ამ საკითხის მოსაგვარებლად განიხილება პოლიტიკური პარამეტრები ჩვენი თანამემამულეებისა და ერთმორწმუნე რუსი მოსახლეობისთვის დახმარების აღმოსაჩენად და ეს ნორმალურია. თუ ეს ხალხი მოისურვებს რუსეთში საცხოვრებლად გადასვლას, მათ სახელმწიფო მატერიალურად დაეხმარება. აკუნინი შესანიშნავი მწერალია. მე ის ძალიან მიყვარს, ჩვენ ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდით. ვერ გეტყვით, შესაძლოა, ის საკმარისად გამოძინებული არ იყო, რაც ამგვარი რამ განაცხადა, ანაც თავს ცუდად გრძნობდა. (ლიზა ბუნდელიანი. „ინტერფაქსი-ნოსტი“)

ნინო სამხარაძე

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ადგილობრივი არჩევნებისთვის საარჩევნო სიები ზუსტდება

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ერთიან საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა მონაცემები ზუსტდება.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით: „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფოტოსაძიებო სისტემის მეშვეობით მოხდება მონაცემთა ბაზაში არსებული მოქალაქის ბოლო ფოტოსურათის შედარება ამავე მონაცემთა ბაზაში არსებულ სხვა პირების უახლეს ფოტოსურათებთან; გაორების არსებობის შემთხვევაში, სისტემა გამოავლენს მსგავს ფოტოსურათებს სხვადასხვა საიდენტიფიკაციო მონაცემით, რომელთაც საპროექტო გუნდი ინდივიდუალურად შეისწავლის; თუ დადასტურდება, რომ სხვადასხვა საიდენტიფიკაციო მონაცემზე არსებული ფოტოსურათები ერთსა და იმავე პირს ეკუთვნის, ამ შემთხვევაში, ანალოგიური ტიპის ჩანაწერები ბაზაში გასწორდება. ეს კი, თავის მხრივ, საარჩევნო სიაში ერთი ადამიანის ერთი საიდენტიფიკაციო მონაცემით დფიქსირებას უზრუნველყოფს. საარჩევნო სიაში ერთ პიროვნებაზე მხოლოდ ერთი საიდენტიფიკაციო მონაცემის დფიქსირებასთან ერთად გამარტივდება საარჩევნო უბანზე გამოცხადებული ამომრჩეველის ვინაობის შემოწმება-დადასტურება“. – აცხადებს მინისტრი. (ფოთენი)

რატომ ხდება მართვის მოწმობები ვადიანი და რა იცვლება მძღოლებისთვის?

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 1-ლი მარტიდან მართვის მოწმობები განსაზღვრული ვადით გაიცემა. საქართველოს იმ პირის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის, რომელსაც მინიჭებული აქვს: „A“, „B“, „BE“, „T“, „S“, „A1“ და „B1“ კატეგორიები, (ქვეკატეგორიები) მოქმედების ვადა იქნება 15 წელი; ხოლო იმ პირის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის, რომელსაც მინიჭებული აქვს: „C“, „CE“, „D“, „DE“, „C1“, „C1E“, „D1“ და „D1E“ კატეგორიები (ქვეკატეგორიები), მოქმედების ვადა იქნება 5 წელი.

კატეგორიების (ქვეკატეგორიების) მართვის მოწმობებს (მიუხედავად მინიჭების თარიღისა) იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ 2018 წლის 1-ელ სექტემბრამდე. 2006 წლის 1-ელ აპრილამდე საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ 2018 წლის 1-ელ იანვრამდე.

მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, მისი შეცვლა მოხდება მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარების გარეშე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა IV-100/ა) მომსახურების სააგენტოში წარმოდგენის საფუძველზე.

მართვის მოწმობის ვადის განსაზღვრა, აგრეთვე, ვრცელდება 2014 წლის 1-ელ მარტამდე საქართველოში გაცემულ მართვის მოწმობებზეც. კერძოდ: 2006 წლის 1-ლი აპრილიდან 2014 წლის 1ელ მარტამდე საქართველოში გაცემულ „A“, „B“, „BE“, „T“, „S“, „A1“ და „B1“ კატეგორიების (ქვეკატეგორიების) მართვის მოწმობებს მიუხედავად მინიჭების თარიღისა) იურიდიული ძალა შეუნარჩუნდებათ 2028 წლის 1-ელ სექტემბრამდე.

2006 წლის 1-ელი აპრილიდან 2014 წლის პირველ მარტამდე საქართველოში გაცემულ „C“, „CE“, „D“, „DE“, „C1“, „C1E“, „D1“ და „D1E“ მართვის მოწმობის შეცვლა სავალდებულო არ არის მისი მოქმედების ვადის გასვლამდე, ხოლო ახალი მოწმობის აღდგენის ან/და შეცვლის შემთხვევაში, მისი დღეს არსებული ღირებულება დარჩება უცვლელი.

2014 წლის 1-ლი მარტიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასასვლელად, დაკარგული მართვის მოწმობის აღსადგენად ან დაზიანებული მართვის მოწმობის შესაცვლელად, სავალდებულო იქნება დაინტერესებული პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა IV-100/ა) სააგენტოში წარმოდგენა.

რატომ გახდა საჭირო ამ ცვლილებების შემოტანა? და არის თუ არა ეს სიახლე ახალი ფულის მახე მძღოლებისთვის?

„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელს ოთარ დანელიას:

ოთარ დანელია

– რაც შეეხება ცვლილებას, ცვლილება არის მხოლოდ ჯანმრთელობის ცნობის აღებასთან დაკავშირებით. მართვის მოწმობის აღების მსურველმა პირმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის დამადასტურებელი მოწმობა. ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა. რაც შეეხება ვადებს, ეს პირდაპირ პროპორციულად კავშირშია ამ ყველაფერთან, რადგანაც 15 წელი განსაზღვრულია მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, ხოლო მიკროავტობუსებისთვის და მსგავსი ტრანსპორტისთვის 5-წლიანი ვადაა. მართვის მოწმობის შეცვლა აუცილებელი არ არის, დღეს თუ მოწმობა აქვს მძღოლს, ის არ უნდა მოვიდეს და თუ არ სურს, მას არავინ დაავალდებულებს მის შეცვლას. აქ საუბარია იმათზე, ვინც ახალ მართვის მოწმობას იღებს, ან დაკარგულის აღდგენა მოუნდება და ვინც პირველი მარტის შემდეგ აიღებს ამ მოწმობას. მაგრამ, თუ, პირობითად, მე მაქვს მართვის ძველი მოწმობა, 2006 წლის პირველ აპრილამდე გაცემული, 2018 წლამდე მოქმედებს ეს მოწმობა, თუკი მართვის მოწმობა გაცემულია 2006 წლის პირველი აპრილის შემდეგ, ეს მოწმობა მოქმედებს 2028 წლამდე. შეგახსენებთ, 2006 წლამდე არის ფორმით შედარებით მოზრდილი მოწმობები გაცემული, ამათ ეხებათან ეს 2018 წელი და 2006 წლიდან კი შედარებით მცირე ზომის მართვის მოწმობა, რომელსაც ვადა აქვთ აღნიშნული 2028 წლამდე. აი, ვინც პირველი მარტის შემდეგ მოვა მართვის მოწმობის ასაღებად, მათ მოუწევთ ჯანმრთელობის მოწმობის მოტანა და ეს არის „ფორმა 100“.

— 5 და 15 წელი, ასეთი დაყოფა რამ გამოიწვია?

– ეს არის ზოგადი სტანდარტი და ევროსტანდარტს შეესაბამება, მძღოლმა პერიოდულად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება.

— ანუ, ჩვენ მთლიანად ევროსტანდარტებზე გადავდივართ?

– მასე ჯერ ვერ ვიტყვი, რადგანაც ევროპული სტანდარტებიდან ჯერ შორს ვართ. დღეს ჩვენი ქვეყნის მართვის მოწმობა ბევრ ქვეყანაში რომ არ არის აღიარებული, სწორედ იმიტომ ხდება, რომ ჩვენ გარკვეულ ნიუანსებს არ ვითვალისწინებდით. არადა, მალე მოგვიწევს. სულ ელემენტარულს ვიტყვი, ევროპაში მართვის მოწმობა ეძლევა მოქალაქეს მაშინ, როცა შემოფარგლულ სივრცეში, მოედანზე კი არ აბარებს მართვის აღებისთვის გათვალისწინებულ გამოცდას, არამედ პირდაპირ ქუჩაში. ჩვენ ძირითადად, ამ მხრივ, გერმანიის მაგალითს ვეყრდნობით.

— თქვენ თქვით, რომ ჯანმრთელობის ცნობას ვითხოვთო და, რა დავადებების შემთხვევაში არ გაუგრძელდებათ მძღოლებს მოწმობა?

– ჩვენ ვითხოვთ „ფორმა 100“-ს და აქედან, აპრიორი ჩანს, რომ ვინც ჩვენთან მოდის, მას აქვს შესაბამისი ჯანმრთელობა, რომ საჭესთან დაჯდეს. თუ ექიმის ჩანაწერი არსებობს ამ ჩვენ მიერ მოთხოვნილ „ფორმა 100-ში“, რომ ამ ადამიანს სჭირდება პერმანენტული ინსპექტირება და სამედიცინო შემოწმება, მაშინ მას ვადა უმცირდება და 15 წელი არ ეძლევა, შესაძლოა, მოწმობა გაცემული იყოს უფრო ნაკლები ვადით.

— ეს ინფორმაცია რომ გავრცელდა, სოციალურ ქსელში კომენტარებს ვკითხულობდი და მოსახლეობამ ეს გაღლიტის ახალ ფორმად მიიღო, გვყვლეფენო.

– ჩვენ საზოგადოებას ვემსახურებით და მათი მოსაზრებები, ბუნებრივია, უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ ეს ყვლეფა ნამდვილად არ არის. მაშინ ნუ აიღებენ მართვის მოწმობას. მოსახლეობას შევახსენებ, რომ აუცილებელი ნამდვილად არ არის მოწმობების შეცვლა. ხოლო მართვის მოწმობის აღება კი, ძველებურად, ღირს 15 ლარი და ეს არ იცვლება.

თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

ახალი ხელისუფლება ვიქტორ იანუკოვიჩის კვალს მიჰყვებაო...

„თბილისში ახალი ხელისუფლება ვიქტორ იანუკოვიჩის კვალს მიყვება“, – ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა **Foreign Policy** გიგა ბოკერიას სტატიას.

როგორც გიგა ბოკერია აღნიშნავს, თვეზე მეტია, მსოფლიო მოწმეა უკრაინელი მომიტინგეების სიმამაცისა და თავგანწირვის, რომლებიც თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძვიან. მისივე თქმით, კიევის ქუჩებში შექმნილი არეულობისა და მზარდი შეშფოთების გამო, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ პოტენციური არასტაბილურობა რეგიონზეც გავრცელდება, აშშ და ევროპა ეძებენ გზებს ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერის წარმოსაჩენად.

„რა თქმა უნდა, არსებობს საჭიროება, რომ ძლიერი პასუხი გაეცეს ვლადიმერ პუტინის მცდელობებს, ძირი გამოუთხაროს რუსეთის მეზობლების სუვერენიტეტს. ვიდრე ყველა მზერა უკრაინისკენაა მიმართული, კრემლი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპირებას, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კი რუსმა სამხედროებმა ოკუპაციის ხაზთან ახალი მავთულხლართები გააბეს და უფრო ღრმად გადმოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი დროებით შეჩერდა სოჭის თამაშების დროს, ის მაშინვე განახლდა, როგორიც კი ოლიმპიური ცეცხლი ჩაქრა“, – წერს გიგა ბოკერია.

„სამწუხაროდ, როგორც ჩანს, საქართველო იმავე ტრაექტორიაზეა, რომელზეც უკრაინა, სადაც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ძლიერმა სურვილმა ცხიხში გამოემწყვდია თავისი პროდასავლელი ოპოზიცია, დააჩქარა ამჟამინდელი კრიზისი. 2012 და 2013 წლებში საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით ხელისუფლების პირველად მშვიდობიანი გადაბარების შემდეგ, ქვეყნის ახალმა მთავრობამ სასამართლოები რამდენიმე პოლიტიკური ოპონენტის, მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, რომელიც ახლა მთავარი ოპოზიციური პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანია, დასაკავებლად გამოიყენა. სასამართლო ასევე გამოიყენეს „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი ლიდერის, პირდაპირი წესით არჩეული თბილისის მერის თანამდებობიდან ჩამოშორებისთვის. „ჰუმან რაიოს ვოთჩის“ თანამბრძ, „ნაციონალური მოძრაობის“ 35 ყოფილი მაღალჩინოსანის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს, 6 ათასი აქტივისტი კი დაიკითხა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ მონაცემებით, პარტიის ორჯერ მეტი წევრი იქნა დაკითხული“, – წერს გიგა ბოკერია. (სტერეოტიპი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

მერებისა და გამგებლების არჩევნები სხვადასხვა დროს ჩაატარეთო

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ხელისუფლებას მერებისა და გამგებლების არჩევნების სხვადასხვა დროს ჩატარებას ურჩევს.

„ვფიქრობ, უპრიანი იქნება, 15 ივნისს არჩეული იყოს მხოლოდ 12 ქალაქის მერი და საკრებულო, ხოლო სოფლების მიერ საკუთარი არჩევანის გაკეთება შეგვეთავაზებინა ოქტომბრისთვის, როცა ნაკლები საფრთხე იქნებოდა შფოთისა და დავიდარაბისთვის. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, რომ არჩევნები მთლიანად ოქტომბრისთვის გადადებულიყო, მაგრამ ჩვენ არ გვყავს ის ხელისუფლება, რომელიც საკუთარ აზრს ვინმეს რჩევის მიხედვით იცვლის, ამიტომ კომპრომისი შეიძლება ის ვარიანტი გახლდეთ, რომელიც მოგახსენეთ. მე ახლოს ვიცნობ სიტუაციას, როცა 1992 წლის იანვარში საქართველოში ერთი ბრძანებით განთავისუფლდა ყველა პრეფექტი და გამგებელი, ისეთი ქაოსი დაიწყო, რომ რამდენიმე თვე დასჭირდა სიტუაციის დარეგულირებას. გვინდა ჩვენ ახლა ქაოსი იმ პერიოდში, როცა მთავარ გამოწვევას ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა წარმოადგენს?“. – განაცხადა ცისკარიშვილმა.

მისივე განმარტებით, თუ შფოთისა და დავიდარაბის მასშტაბი სერიოზული იქნება, შესაძლებელია, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე „ვიღაცამ თავიც შეიკავოს“. – აღნიშნა ცისკარიშვილმა. (სტერეოტიპი)

ნამდვილი სამართლის ნიმუში, არა...

საპარლამენტო უმცირესობის ერთერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი დავით კეზერაშვილის საქმეზე საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება და აცხადებს, რომ ევროკავშირის სასამართლოები ნათლად მიუთითებენ საქართველოს მთავრობას, რომ ქვეყანაში შერჩევით სამართალს აქვს ადგილი.

„ზუსტად ისე, როგორც პოლიტიკურ პატიმრობაში მყოფი იულია ტიმოშენკოს განთავისუფლება მოხდა პოლიტიკური პროცესის შედეგად, ასევე ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებაც ბევრად ადრე მოხდება, ვიდრე მას მისჯილი აქვს და ეს მოხდება პოლიტიკური პროცესის კვალდაკვალ, ისევე, როგორც ეს მოხდა უკრაინაში. იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობა თავიდან ბოლომდე იანუკოვიჩის მთავრობას ბაძავს. პოლიტიკური სამართლის ნიმუში ჩვენ ვიხილეთ თბილისში – ნამდვილი სამართლის ნიმუში ჩვენ ვიხილეთ საფრანგეთში“, – განაცხადა გაბაშვილმა. (ინტერფაქსი)

ბურჯანაძე 26 მაისის საქმეში სააკაშვილის „წვლილის“ დადგენასაც ითხოვს

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე 26 მაისის საქმეში ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „წვლილის“ დადგენასაც ითხოვს.

„პასუხი უნდა გაეცეს იმ კითხვასაც, რომელიც ვანო მერაბიშვილის პროცესზე გაისმა. თუ ვანო მერაბიშვილს არ გაუცია ის ბრძანება, ან რად მიუსაჯეთ ან მაშინ ვინ არის ის ადამიანი, რომელმაც შეცვალა ქვეყნის ხერხემლის, ვანო მერაბიშვილის ბრძანება და დანაშაულებრივი ბრძანება გასცა. ალბათ, ლოგიკურად, ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის ადამიანი, ვინც ვანო მერაბიშვილზე ძლევამოსილი იყო. ასეთი ადამიანი კი საქართველოში ერთადერთი იყო – ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. თუმცა ცხადია, ამ ფაქტს გამოძიება, დამტკიცება და დასაბუთება სჭირდება“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ინტერფაქსი)

„ქართულმა ოცნებამ“ ვებგვერდზე წინასაარჩევნო დაპირებები წაშალა?

„თავისუფალმა საქართველომ“ 27 თებერვალს საკუთარ საიტზე შემდეგი სახის ინფორმაცია გაავრცელა: „ქართული ოცნების“ ვებგვერდზე, სავარაუდოდ, ტექნიკური ხარვეზის გამო, კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამა წაიშალა: „ალბათ, სწორედ ამის გამოა, რომ გამალებული ტემპებით მიმდინარეობს ხუდონჰესის მშენებლობის საკითხი და შეჩერებულია საარჩევნო რეფორმა (მათი პროგრამის მიხედვით, პირიქით უნდა ყოფილიყო).

სანამ „ქართული ოცნება“ გამოასწორებს ამ ხარვეზს, კოალიციის პროგრამა განთავსებული იქნება „თავისუფალი საქართველოს“ გვერდზე და მმართველი გუნდის წევრებს ჩვენს საიტზე შეეძლებათ გადახედონ ამ და სხვა ვალდებულებებს, რასაც ისინი წინასაარჩევნოდ დაჰპირდნენ საზოგადოებას“.

კომენტარისთვის „ალია“ „თავისუფალი საქართველოს“ გენერალურ მდივანს, ალეკო შალამბერიძეს დაუკავშირდა.

— ბატონო ალეკო, რატომ ფიქრობთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო დაპირებები შეგნებულად წაშალა. შევედი მათ საიტზე, იქ წერია, რომ სატესტო რეჟიმში მუშაობს? იქნებ გვერდს აახლებენ?

– სწორედ რომ შეგნებულადაა წაშლილი, რადგან ის პროცესები, რომელიც აგორდა ხუდონთან დაკავშირებით, „ოცნებისთვის“ მოულოდნელი იყო, განსაკუთრებით კი კალაძისთვის. ასეთ გაფფორებულ წინააღმდეგობებს არ ელოდა. ახლა კი, ადამიანს რომ უნდოდეს, საიტზე შევიდეს და ნახოს, რა დაპირებებს მისცა ხმა, უკვე აღარ დახვდება.

— დაუკავშირდა:

— ბატონო გია, რატომ აღარ დევს თქვენს ვებგვერდზე „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები?

– ამის შესახებ არაფერი არ ვიცი. რა დაემართა მაგ გვერდს, არ ვიცი. ახლა გავხსენი საიტი, ეს ახლა სატესტო რეჟიმშია და არ განახლებულა. არაფერი არ დამატებია და ახლა მიმდინარეობს მასზე მუშაობა, არც არაფერი დაკლებია მას.

— როგორ არა, დაპირებები აღარ დევს.

– თუნდაც ასე იყოს, სხვადასხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნდა უკვე ეს დაპირებები და ძალაშია, აქ წინასაარჩევნო დაპირებების ჩამონათვალი არც ყოფილა.

— „თავისუფალი საქართველო“ ამბობს, რომ განგებ წაშალეთ, მათ შორის ხუდონის გამოც.

– არასწორს ამბობენ მერე, წინასაარჩევნო დაპირებას მოხსნი დღის წესრიგიდან, გადაადგებ, დაწვავ თუ რას უზამ? არსებობს და პასუხისმგებელი ვართ ყველა მუხლზე. ეტყობა, არ აქვთ სწორი ინფორმაცია, ან ამახინჯებენ. ხუდონი რა შუაშია? არ მინდა, მკვეთრი განცხადება გავაკეთო მათ მიმართ, მაგრამ დეზინფორმაციის გავრცელება არ უხდებათ...

რა დაემართა „ქართული ოცნების“ ვებ-გვერდს, რატომ არის ტესტირების რეჟიმში და მართლა წაიშალა თუ არა წინასაარჩევნო დაპირებები შეგნებულად, ამის გასარკვევად „ალია“ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოსა და პარლამენტის წევრს, გია ვოლ-ვუშვათ, წაიშალა საიტზე, ბევრს ახსოვს, ზოგს ამობეჭდილი აქვს? გრანდიოზული ჰესები რომ არ აშენდებოდა, ეს კი ყველას ისედაც კარგად ახსოვს.

– დიახ, თავიდან ვერ ამოშლიან, ეს დაპირება კი განსაკუთრებით ახსოვს მოსახლეობას. ეს არის თემა, რის გამოც სულ წაშალეს დაპირებები. საქმე ისაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ამუშავებდა ხუდონჰესის მშენებლობის საკითხს, სერიოზულ ქრთამს ელოდა ამ პროექტისგან. შემდეგ როცა ხელისუფლებიდან გადაგია, რაზეც ესენი აპელირებენ ახლა.

ძალიან ცუდია, რომ ადამიანებს პოლიტიკოსები არ უსრულებენ დაპირებას და მერე მათზე გული უცრუვდებათ. ამბობენ, რომ არავის ენდობიან და ეს ნიჰილიზმი „ოცნებას“ ეკუთვნის.

— მაინც გვკურთან, რომ შეგნებულად წაშალეს? მე ვიცი, რომ ბევრმა გადმოაკოპირა ეს დაპირებები...

– კი, ყველა დაინტერესებულს აქვს გადმონერილი, ამიტომ იყო სიბრიყვე ამის წაშლა. მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ მარტივი თაღლითები არიან. საკაშვილი დიდი თაღლითი იყო, ოღონდ საერთაშორისო დონის თაღლითი, ლაპარაკობდა 6 ენაზე, ესენი კი დაბალი დონის თაღლითები არიან და იმეორებენ იმას, რაც საკაშვილმა გააკეთა. ესენი მის დაწყებულ იდეებს აგრძელებენ. თუ საკაშვილს შერჩა, ესენიც თვლიან, რომ ყველაფერი შერჩებათ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

საქართველო-უკრაინის ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მზადყოფნას გამოთქვამს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უკრაინის ახალი მთავრობის დამტკიცებას მიესალმება და უკრაინის ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მზადყოფნას გამოთქვამს.

„ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესების ნორმალიზების საქმეში ახალ მთავრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა ეკისრება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ ახალი ხელისუფლება გადადგამს ქმედით ნაბიჯებს, რათა გაამართლოს უკრაინელი ხალხის მოლოდინი, დაძლიოს კრიზისი, უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა, ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი, კანონის უზენაესობა, საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად განხორციელება, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა და წინსვლა, რაც, თავის მხრივ, გადამწყვეტ როლს ითამაშებს დიდ ევროპულ ოჯახში უკრაინის ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, კიდევ ერთხელ გამოხატავს სოლიდარობას უკრაინელი ხალხის მიმართ, წარმატებას უსურვებს ახალ მთავრობას, ქვეყნის ისტორიის განვითარების ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე. ამასთანავე, მთავრობის სახელით, მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს უკრაინის ახალ ხელისუფლებასთან და მათი სურვილის შემთხვევაში, გაუზიაროს სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში დაგროვილი გამოცდილება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერფაქსი)

მუშათა უფლებების დასაცავად აქცია გაიმართება

მუშათა უფლებების დაცვის მოთხოვნით 28 თებერვალს, საქართველოს მთავრობის კანცელარიის შენობასთან სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ინიციატივით აქცია გაიმართება.

ორგანიზაციების ცნობით, 14 თებერვლიდან, კაზრეთში, მუშათა სრულმასშტაბიანი გაფიცვა მიმდინარეობს. 26 თებერვალს, მასშტაბური გაფიცვის სახე მიიღო ქიათურის მაღაროში დასაქმებულთა პროტესტმა. პარალელურად, თითქმის ორი კვირაა, პროტესტის ნიშნად შიმშილობენ თბილისის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მეხანძრეები და მაშველები.

გაფიცვების მასშტაბურობა, ინტენსივობა და დასაქმებულთა იდენტური მოთხოვნები ცხადად აჩვენებს სახელმწიფოს მხრიდან მისი შრომითი პოლიტიკის არსებითად გადახედვის, ეფექტური და დროული საკანონმდებლო ცვლილების გატარების, მათ შორის, შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებთან მიმართების საჭიროებას“, – აცხადებენ არასამთავრობები.

დაგეგმილი აქცია კონკრეტული მოთხოვნებით გაიმართება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ეფექტურად განახორციელოს კანონით დაკისრებული ვალდებულება მედიაციის თაობაზე და უზრუნველყოს პროცესის ეფექტურად და სამართლიანად წარმართვა; მთავრობამ და საკანონმდებლო ორგანომ არსებითად გადახედოს პოლიტიკას შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით და შეიმუშაოს მათი დაცვის მაღალი სტანდარტები და ეფექტური მექანიზმები. (ინტერფაქსი)

ექსკლუზივი

მარგველაშვილს სააკაშვილის ვირუსი შეეყარა...

რაში დახარჯა პრეზიდენტის პიარსამსახურმა 53 ათასი ლარი?!

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 20 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, შალვა რამიშვილმა, „არტარეას“ წარმომადგენლებთან ერთად, პრესკონფერენცია გამართა. მან იმ გამოფენის თაობაზე ისაუბრა, რომელიც პრეზიდენტის სასახლეში გაიხსნა. შალვა რამიშვილის განცხადებით, გამოფენის მიზანი იყო თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია და ხაზგასმა იმისა, რომ საქართველოს კომუნიკაცია მსოფლიოსთან უნდა ემყარდებოდეს ნიჭსა და თავისუფალ შემოქმედებას. ვერ გავიგე, აქამდე სხვანაირად იყო? ალბათ, იყო, თორემ შალვა რამიშვილი ტყუილად ხომ არ დაიწყებდა ბიუჯეტის ხარჯზე გამოფენების მოწყობას?!

მოკლედ, შალვას ინიციატივით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შუს „არტარეასთან“ ერთად მოაწყო თანამედროვე ქართული კონცეპტუალური არტის გამოფენა, სახელწოდებით – „ხელოვნება მართავს“. ლონისძიებაზე მიწვეულები იყვნენ: გიორგი მარგველაშვილი, მთავრობის, დიპლომატიური კორპუსისა და საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები. 21-დან 23 თებერვლამდე კი ავლაბრის რეზიდენციის ჰოლში განთავსებული 50-მდე ქართველი ხელოვანის ნაბეჭდი, ვინც იქ შეიარა. ჯანდაბას, ამ შემთხვევაში არც ეს არის მთავარი და საერთოდ არაფერს ვიტყოდით, რომ არა, ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი გაღლეტილი ჯიბიდან ამოცლილი 53 ათასი ლარი. ყველაზე საოცარი ის არის, რომ გამოფენა გამართა „თი-ბი-სი“ ბანკის კუთვნილმა შუს „არტარეამ“ (რომელსაც ფული ჩეჩქვითი აყრია), ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, სრულიად „თანამედროვე“ ხელოვნებაზე ზრუნვით, ამ გამოფენას ლობირებდნენ შალვა რამიშვილი და ადმინისტრაციის თანამშრომელი, ნინო ბაგრატიონი, არჩილ სავანელთან ერთად.

ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, შალვა რამიშვილს თავიდან 100 ათასი ლარი მოუთხოვია, მაგრამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, ლაშა აბაშიძე მხოლოდ 30 ათას ლარზე დასთანხმდა. ამის შემდეგ

თუმცა ვერ გავიგეთ, რა შუაში იყო აქ ბიუჯეტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია, როცა გამოფენა უნდა გამართულიყო „თი-ბი-სი“ ბანკის საქმეში ჩაერთო პრეზიდენტის ადმინისტრაციის მძლავრი „იარაღი“, ანუ მის აღმატებულებასთან დაახლოებული ნინო ბაგრატიონი და შედეგად ჩვენმა ბიუჯეტმა თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციისთვის 53 ლარი გაიღო. ეგიდით?

ბუნებრივია, მე ამ საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურს შეტყობინება გავუგზავნე და **სოფია ჯაჯანაშვილიც** გამომეხმაურა, მაგრამ რად გინდა? მისი თქმით, თურმე ეს ერთობლივი ღონისძიება იყო:

– თავიდანვე ასე გაცხადდა, პრესკონფერენციაც ჩატარდა შალვა რამიშვილის და „არტარეას“ წარმომადგენლის.

— ვიცი, რომ პრესკონფერენცია ჩატარდა, მაგრამ ბიუჯეტი რა შუაშია? შეგიძლიათ, ხარჯთაღრიცხვა გამომიგზავნოთ?

– გელა, ერევანში ვართ ყველა, როგორც ჩამოვალთ, გაგირკვევ ყველაფერს.

აჰა, ესეც მეორე პრობლემა: ესე იგი, როცა პრეზიდენტი მარგველაშვილი სადმე მიდის ოფიციალური ვიზიტით, მთელი პრესსამსახური დედაბუდიანად უკან მიჰყვება, თბილისში ერთ ადამიანსაც კი აღარ ტოვებენ „ნამლად“.

ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, გიორგი მარგველაშვილს ასეთი მრავალრიცხოვანი დელეგაცია რაში სჭირდება, სომხეთის პრეზიდენტს ხელს მარტო ვერ ჩამოართმევს და სევანის ტბასთან სურათს ვერ გადაიღებს? იქვე პატარა „ბუტკებიც“ არის, შეიკლის და ყავასაც დალევს. გადაიღებენ ახლა მაგისი პრესსამსახურის თანამშრომლები სურათებს, მერე გადააჭრელებენ „ფეისბუკს“ ამ სურათებით და ერთმანეთს „დაულაიქებენ“: უი, დედა, მავანო, რა ლამაზი ხარ? აი, ეს არის დღეს მთავარი პიარი და ამაში ვიხდით ათასობით ლარს.

